კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის ანგარიში

2022

კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის ანგარიში 2022

თბილისი
2023

„კოალიცია თანასწორობისთვის" არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), კავშირი „საფარი", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) და თანასწორობის მოძრაობა. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. 2015 წელს, ახლადდაფუძნებულმა „კოალიციამ თანასწორობისთვის" და საქართველოს სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 6

მეთოდოლოგია 7

ძირითადი ტენდენციები 8

თავი I
საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქმეები 10

1. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო 11

1.1. ეკატერინე კიკნაძე, დინარა ვაჩნაძე, ნინო ხუნდაძე, დავით ნიორაძე მოპასუხეების – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანის, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატისა და მისი ხუთი წევრის - ნიკა ახალბედაშვილის, ნინო ჭიპაშვილის, ნინო სალუქვაძის, ზვიად კვიციანის და დავით ლორთქიფანიძის, და ეროვნულ მუზეუმში ახალშექმნილი სამეცნიერო საბჭოს წინააღმდეგ (GYLA) 11

1.2. ნატალი ჯახუტაშვილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ წინააღმდეგ (GYLA). 12

1.3. იაგო კაჭკაჭიშვილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლილი ხეჩუაშვილის, გიორგი მახარობლიშვილის, ზვიად აბაშიძის, ეკატერინე ფირცხალავას, ქეთევან ხუციშვილის, ნატალია ბასილაიას, სალომე დუნდუას და გიორგი შარვაშიძის წინააღმდეგ (GYLA) 13

1.4. ეკატერინე კვესიტაძე ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” წინააღმდეგ (GYLA) 14

1.5. თ.თ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (GYLA) 16

1.6. ირაკლი ჯინჭარაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ 17

1.7. ლაშა ჩხვიმიანი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის წინააღმდეგ (GDI) 18

1.8. დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ (RG) 19

1.9. თეა კასრაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ (RG) 20

1.10. ლ. ჩ. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის წინააღმდეგ (RG) 22

1.11. თ.დ. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის წინააღმდეგ (HRC) 23

1.12. ნ.ი. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის წინააღმდეგ (HRC) 24

1.13 ქ.მ. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის წინააღმდეგ (HRC) 25

1.14. ა.ბ. შპს “საქართველოს ფოსტა” ქარელის სერვისცენტრის წინააღმდეგ (HRC) 25

1.15. თ.ბ. შპს „ევროპული სკოლის“ წინააღმდეგ (HRC) 26

2. რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია 27

2.1. გლებ ტიმოფეევი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წინააღმდეგ (GYLA) 27

2.2. ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ 29

2.3. აბიტურიენტები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ 30
2.4. დიმიტრი სილაგაძე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წინააღმდეგ (GYLA) 32
2.5. შ. უ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ (RG) 33
2.5. ს.ბ. და სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი) 34

3. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (WISG) 36
3.1. ქალი ფეხბურთელების მიმართ დისკრიმინაცია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო 36
3.2. ქალი ფეხბურთელების საქმე (PHR) 37
3.3. ს. ლ. სს „ლიბერთი ბანკის“ წინააღმდეგ (RG) 38
3.4. თ.კ. გორის #3 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის წინააღმდეგ (HRC) 39
3.5. თ.კ დამსაქმებლის „ფაქტორ გრუპის“ და მისი დირექტორის- ე.ღ-ს წინააღმდეგ. (საფარი) 40
3.6. ა.ბ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საფარი) 40
3.7. X. Y (მსხვერპლის იდენტიფიცირების საფრთხის გამო, ინიციალები გამოგონილია) “CD Company”-ს წინააღმდეგ. (საფარი) 42
3.8 ე.გ ა(ა)იპ უსინათლოთა კავშირის მე-3 ფილიალის ხელმძღვანელის - ი.ჩ-ის წინააღმდეგ. (საფარი) 43

4. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით - 44
4.1. დავით ხუხუა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ 44
4.2. შეზღუდული შესაძლებლობის გამო მცირეწლოვნის მიმართ ჩადენილი დისკრიმინაციული მოპყრობა - GYLA 45

5. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია 46
5.1. თ.ბ. სს „იავნანას“ წინააღმდეგ (HRC) 46

6. ეროვნული/ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაცია 47
6.1. ა.ბ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი) 47

7. ინტერსექციური დისრიმინაცია 48
7.1. მ.დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საფარი) 48

8. დისკრიმინაცია მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებულ პანსიონატში ცხოვრების ნიშნით 50
8.1. ნ.მ და ი.მ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საფარი). 50

შესავალი

„კოალიცია თანასწორობისთვის" არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის[1] მიღების პროცესში, ჩამოყალიბდა. ამჟამად, კოალიციაში შედის 11 არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), კავშირი „საფარი", უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი, საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF) და თანასწორობის მოძრაობა. 2023 წლისთვის, კოალიციის თავმჯდომარედ აირჩა პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR). კოალიციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი. კოალიციას გააჩნია წესდება, სტრატეგია და წევრთა მიღების წესი. კოალიციის ფინანსური მხარდამჭერია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.

კოალიციის მიზანია დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის გზით თანასწორობის პრინციპების დაცვა. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ, კოალიციაში შემავალი ორგანიზაციები, საქმიანობის სხვა მიმართულებებთან ერთად, ყოველწლიურად სწავლობენ ადამიანების ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და ამზადებენ შესაბამის კოალიციურ ანგარიშებს. გარდა ამისა, კოალიციის წევრი ორგანიზაციები ახორციელებენ სამართალწარმოებას, რისთვისაც იყენებენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს[2] და ამზადებენ საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს[3] .

წინამდებარე ანგარიში არის „კოალიცია თანასწორობისთვის" საქმიანობის რიგით მეშვიდე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2022 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშში ასახულია კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების მიერ ამ პერიოდში წარმოებული საქმეები, სახალხო დამცველის აპარატსა და საერთო სასამართლოებში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების სტრატეგიული სამართალწარმეობა ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული პირის უფლებების დაცვას, არამედ - სისტემური რეფორმების განხორციელებასა და დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრასაც.

1. საქართველოს პარლამენტმა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" 2014 წლის 2 მაისს მიიღო. მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორი სარგებლობის უზრუნველყოფა.
2. "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, "ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ხოლო ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას, მათ შორის, ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადების და საჩივრის საფუძველზე, ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.
3. იხ. „კოალიცია თანასწორობისთვის" 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, https://rb.gy/7qnp0

ანგარიშში განხილულია უშუალოდ ის საქმეები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში აწარმოეს კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა. საქმეები დაჯგუფებულია დისკრიმინაციისგან დაცული 8 საფუძვლის მიხედვით: 1. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო; 2. რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია; 3. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება; 4. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; 5. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია 6. ეროვნული/ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაცია; 7. ინტერსექციური დისკრიმინაცია; 8. დისკრიმინაცია მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებულ პანსიონში ცხოვრების ნიშნით. თითოეულ საქმესთან მიმართებით, მიმოხილულია საქმის აღწერა, მისი მნიშვნელობა და შედეგი.

მეთოდოლოგია

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში, მათ შორის, სტატისტიკაში, არ არის ასახული საქმეები, რომელსაც კოალიციის წევრი ორგანიზაციები აწარმოებენ, თუმცა, შესაბამისი განმხილველი ორგანოს მხრიდან 2022 წლის განმავლობაში სიახლე არ ყოფილა.

შესაბამისად, ანგარიში მოიცავს იმ საქმეების ანალიზს, რომლებზეც წარმოება დაიწყო საანგარიშო პერიოდში ან 2022 წლამდე, თუმცა განხილვა დასრულდა ან/და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საანგარიშო პერიოდში.

საერთო ჯამში, ანგარიშში განხილულია კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებული 35 საქმე, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა: 9 საქმე - საია[4]; 7 საქმე- ადამიანის უფლებათა ცენტრი[5]; 6 საქმე- კავშირი „საფარი“[6]; 5 საქმე უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი)[7]; 2 საქმე - PHR (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის)[8]; 2 საქმე - TDI[9]; 2 საქმე- სოციალური სამართლიანობის ცენტრი[1] ; 1 საქმე- GDI[1] ; 1 საქმე - WISG[1] ;

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის საქმეების მხარეები მოხსენიებულნი არიან ინიციალებით (სახელისა და გვარის/სახელწოდების პირველი

4. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო (6 საქმე); რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია (2 საქმე); დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით (1 საქმე)
5. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო (5 საქმე); გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (1 საქმე); ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია (1 საქმე)
6. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (4 საქმე); ინტერსექციური დისკრიმინაცია (1 საქმე); დისკრიმინაცია მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებულ პანსიონში ცხოვრების ნიშნით. თითოეულ საქმესთან მიმართებით, მიმოხილულია საქმის აღწერა, მისი მნიშვნელობა და შედეგი (1 საქმე).
7. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო (3 საქმე); რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია (1 საქმე); გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (1 საქმე);
8. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (1 საქმე) შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია (1 საქმე);
9. რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია (2 საქმე);
10. რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია (1 საქმე); ეროვნული/ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაცია (1 საქმე);
11. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო (1 საქმე);
12. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (1 საქმე);

ასო). ამ წესიდან გამონაკლისია გაკეთებული იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს, მათი სახელი და გვარი/სახელწოდება სრულად ყოფილიყო ანგარიშში მოხსენიებული. სრული სახელითა და გვარით/სახელწოდებით არიან წარმოდგენილნი ის პირებიც, რომლებმაც ამ დავებში მათი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავად გახადეს საჯარო[1] .

ძირითადი ტენდენციები

როგორც კოალიციის მიერ წარმოებულ საქმეებზე დაყრდნობით, ისე ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზების გათვალისწინებით, რომელიც გამყარებულია სხვადასხვა კვლევებითა და ანგარიშებით, შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სასამართლო არ იყენებს უზრუნველყოფის საშუალებებს სადავო დისკრიმინაციული მმართველობითი ღონისძიებების/აქტების შეჩერების მიზნით, რაც დისკრიმინაციის მასშტაბს და მავნე ზემოქმედებას ზრდის.
- სასამართლო არღვევს დავის განხილვის სპეციალურ ვადებს.
- სასამართლოს ინკვიზიცია დისკრიმინაციულ დავებში (ადმინისტრაციული წარმოებისას) ნულოვანია.
- სასამართლოში დისკრიმინაციის დადგენის საკითხი, წინა წლების მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება. სასამართლოს უჭირს საქმეებში დისკრიმინაციული მოტივის დანახვა.
- ძირითადად პირების წინააღმდეგ დისკრიმინაციული მოპყრობა ეფუძნება მათ განსხვავებულ მოსაზრებებს ან პოლიტიკურ შეხედულებებს და როგორც წესი, დისკრიმინაციული მოპყრობა ხდება შრომითი ან სხვა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში.
- ცალკე გამოყოფას საჭიროებს კულტურის სფეროში მიმდინარე საქმეები, რომლების უმეტესობა სწორედ გასულ წელს დაიწყო, თუმცა, ანგარიშში ვერ მოხდა მათი დიდი ნაწილი, რადგან ჯერ კიდევ არაა მიღებული გადაწყვეტილებები 2022 წელს დაწყებულ საქმეებზე. კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყებებიდან ათეულობით პირია გათავისუფლებული სწორედ გასულ წელს ფორმალურად რეორგანიზაციის საფუძვლით და ამ ადამიანების გარკვეული ნაწილი დავას აწარმოებს დამსაქმებლების წინააღმდეგ.
- ასევე უნდა ითქვას, რომ გარკვეულ საქმეებში სასამართლო (სახალხო დამცველისგან განსხვავებით) არც თუ ისე სწორად აფასებს მტკიცების ტვირთის საკითხს, რაც არაა ახალი პრობლემა.
- პრობლემურია სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრუ-

13. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა.

ლების საკითხი. უმეტესად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპასუხე საჯარო დაწესებულებაა, დადებითი გადაწყვეტილების მიუხედავად მაინც ვერ ხდება გადაწყვეტილების აღსრულება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

- სასამართლოში სავარაუდო დისკრიმინაციული საქმეების განხილვისას, დისკრიმინაციული მოტივით, მათ შორის, გენდერული, ასაკის, განსხვავებული აზრის ნიშნით დისკრიმინაციის გამო სამსახურიდან განთავისუფლება რთული დასადგენია, რაც ხშირად იწვევს სასამართლოს მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტების უგულებელყოფას.

- სასამართლო, შრომით დავებში, ხშირ შემთხვევაში, თავს არიდებს დისკრიმინაციული მოტივის დადგენაზე მსჯელობას და მხოლოდ პირის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტზე აპელირებით შემოიფარგლება. აღნიშნული, თავის მხრივ, ასევე შეუძლებელს ხდის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

- შრომით დავებში, სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების დროულად ჩაბარება ასევე გამოწვევა ასევე ტენდენციური იყო რამდენიმე საქმესთან მიმართებით;

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ წარმოებულ დავებში ტენდენციური იყო სასამართლოს ორიენტირებულობა, საქმეები მორიგებით დაესრულებინა და არ მოეხდინა სარჩელების დაკმაყოფილება.

თავი I

საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქმეები

1. დისკრიმინაცია გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო

1.1. ეკატერინე კიკნაძე, დინარა ვაჩნაძე, ნინო ხუნდაძე, დავით ნიორაძე მოპასუხეების – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანის, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატისა და მისი ხუთი წევრის - ნიკა ახალბედაშვილის, ნინო ჭიპაშვილის, ნინო სალუქვაძის, ზვიად კვიციანის და დავით ლორთქიფანიძის, და ეროვნულ მუზეუმში ახალშექმნილი სამეცნიერო საბჭოს წინააღმდეგ (GYLA)

საქმის აღწერა – 2022 წლის 28 იანვარს, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაქვეყნა კონკურსში გამარჯვებული პროექტების სია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის 13 გამარჯვებულ პროექტს შორის იყო ეკატერინე კიკნაძის, დინარა ვაჩნაძის, ნინო ხუნდაძისა და დავით ნიორაძის ერთობლივი პროექტიც. მას შემდეგ, რაც საჯაროდ ცნობილი გახდა, რომ განმცხადებლების პროექტმა მიიღო რუსთაველის ფონდის დაფინანსება, იმ მიზნით, რომ ხელი შეშლოდა კრიტიკულად განწყობილი (ყოფილი) თანამშრომლების სამეცნიერო კვლევების განხორციელებას მუზეუმში, მინისტრმა შეიმუშავა განსხვავებული შეხედულებების გამო კვლევითი პროექტებიდან კონკრეტული პირების ჩამოშორების მექანიზმი. კერძოდ, დებულებით დირექტორატს მიენიჭა უფლებამოსილება, დაფინანსებული პროექტების შესახებ მიმართოს დამფინანსებელს და მოითხოვოს საგრანტო თანხა. დირექტორატს ასევე, მიენიჭა უფლება, თავად განსაზღვროს, დაუშვებს თუ არა მუზეუმში მკვლევარს კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს სსიპ ეროვნული მუზეუმის სახელით გაეგზავნა თანხმობა ფონდის კონკურსში გამარჯვებული 12 პროექტის განხორციელების თაობაზე და გაფორმდა ხელშეკრულებები. ის პროექტი, რომლის განხორციელებაზეც უარი თქვა სსიპ ეროვნულ მუზეუმში შექმნილმა მუზეუმთა ჯგუფის დირექტორატმა და ახალშექმნილმა სამეცნიერო საბჭომ, განმცხადებლების პროექტია. ამით ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა განმცხადებლების გამარჯვებული სამეცნიერო პროექტის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლები 2021 წლის აგვისტოსა და დეკემბერში მომზადებული იმ პეტიციების ხელმომწერები და ორგანიზატორები არიან, რომლებიც ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ არსებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხებოდა. მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან პეტიციების ხელმომწერთა დევნა კი, რეორგანიზაციის შედეგებშიც ნათლად გამოჩნდა. შესაბამისად, ეკატერინე კიკნაძემ, დინარა ვაჩნაძემ, ნინო ხუნდაძემ და დავით ნიორაძემ მიმართეს სახალხო დამცველს მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენის თაობაზე.

საქმის მნიშვნელობა – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში რეორგანიზაცია და მასშტაბური ცვლილებები დაიწყო, რამაც საბოლოოდ საკადრო წმენდის სახე მიიღო. სწორედ განსხვავებული მოსაზრებების გამო გახდნენ განმცხადებლები დისკრიმინაციის და შეიძლება ითქვას, დევნის მსხვერპლიც, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი პროექტის და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერები იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ ხდებოდეს მათი დისკრიმინაცია კრიტიკული მოსაზრებების გამო. სწორედ მეცნიერების უფლებების დაცვის მიზნით და შემდგომში, ამ თუ სხვა მეცნიერების უფლებების შელახვის

პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს ზემოაღნიშნულ ბენეფიციართა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და ამავე დროს, დაევალოთ დისკრიმინაციის განმახორციელებელ პირებს დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

შედეგი – საქმის განხილვა წარმატებით დასრულდა. სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი ეკატერინე კიკნაძის, დინარა ვაჩნაძის, ნინო ხუნდაძისა და დავით ნიორაძის მიმართ, რის საფუძველზეც 2022 წლის 26 ოქტომბერს გამოსცა რეკომენდაცია განსხვავებული მოსაზრებების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს შემდეგი რეკომენდაციით:

- გამარჯვებული პროექტის – „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ დაფინანსების მიღების მოთხოვნით, მიმართოს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს;

- მომავალში არ დაუშვას განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს შიდაორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

1.2. ნატალი ჯახუტაშვილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ წინააღმდეგ (GYLA).

საქმის აღწერა – ნატალი ჯახუტაშვილი დასაქმებული იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურში თბილისის ბიუროს რეპორტიორის თანამდებობაზე. 2021 წლის 30 დეკემბერს მაუწყებლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მუშაობის ბოლო თვეებში, განმცხადებელს მიანიშნეს, რომ არ ჰქონოდა კრიტიკული ჩართვები, წინააღმდეგ შემთხვევაში მას პერიოდულად პოლიტიკური მიმართულებას ჩამოაშორებდნენ. 2021 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი განუცხადეს, რომ პოლიტიკის მიმართულებით აღარ იმუშავებდა და ეკონომიკურ მიმართულებაზე გადაჰყავდათ, თუმცა, მიზეზი არ განუმარტავთ. ნატალი თვლიდა, რომ შრომითი ურთიერთობის ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენები და კრიტიკული სიუჟეტები გახდა მისი შევიწროების, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ხელის შეშლის საფუძველი; და იმის მიზეზი, რომ აღარ გაეგრძელებინათ მისთვის შრომითი ხელშეკრულება.

ნატალი ჯახუტაშვილმა მიმართა სახალხო დამცველს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო”-ს მიერ მის მიმართ დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტის დადგენის მოთხოვნით. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განმცხადებლის გათავისუფლება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით იყო მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დაფარვის სამართლებრივი საშუალება. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შეწყდა შრომითი ურთიერთობა, არ აქარწყლებდა დისკრიმინაციის არსებობის ვარაუდს.

საქმის მნიშვნელობა – დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის ჟურნალისტების დამოუკიდებლობა და მათ მიერ კრიტიკული მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესი ასპექტია, მით უმეტეს, რომ ბენეფიციარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ტელევიზიას ედავება დისკრიმინაციაზე. მოცემულ საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჟურნალისტების უფლებების დაცვის მხრივ და შემდგომში მათი დისკრიმინაციის პრევენციისთვის.

შედეგი – საქმე დასრულდა წარმატებით. საქართველოს სახალხო დამცველმა 2022 წლის 29 ნოემბერს გამოსცა რეკომენდაცია „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ წინააღმდეგ შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით ნატალი ჯახუტაშვილის მიმართ პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. სახალხო დამცველმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს მიმართა, რომ მომავალში არ დაუშვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს შიდა ორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

1.3. იაგო კაჭკაჭიშვილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლილი ხეჩუაშვილის, გიორგი მახარობლიშვილის, ზვიად აბაშიძის, ეკატერინე ფირცხალავას, ქეთევან ხუციშვილის, ნატალია ბასილაიას, სალომე დუნდუას და გიორგი შარვაშიძის წინააღმდეგ (GYLA)

საქმის აღწერა: 2020 წლის 13 აპრილს, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით აკადემიური ეთიკის დარღვევის დადგენის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეთიკის კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა იაგო კაჭკაჭიშვილის მხრიდან ფიქსირდებოდა თუ არა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა. კომისიას განსახილველად და შესაფასებლად ჰქონდა ორი საკითხი: 1) ფიქსირდება თუ არა თვითპლაგიატის ფაქტი ბ-ნ იაგო კაჭკაჭიშვილის სადისერტაციო ნაშრომსა და 2001 წელს გამოცემული მისი წიგნის („სოციალური მოქმედების თეორიები“) შემთხვევაში;

2) არის თუ არა ბ-ნი იაგო კაჭკაჭიშვილის მიერ 2011 წელს დაცული სადოქტორო დისერტაციის უდიდესი ნაწილი სხვა ავტორების ნაშრომების კომპილაცია.

აღსანიშნავია, რომ კომისიის შექმნას წინ უსწრებდა ფაქტი, რომ იაგო კაჭკაჭიშვილის თსუ-ს რექტორი გიორგი შერვაშიძე ამხილა პლაგიატში, რაც დადასტურდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების ტესტით.

ამის შემდეგ, თსუ-ს თანამდებობის პირები იაგო კაჭკაჭიშვილს განცხადებებით ემუქრებოდნენ, მას აუკრძალეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქმიანობა და ამასთანავე, შეიქმნა ზემოხსენებული ეთიკის კომისია. კომისიის მიზანი იყო ის, რომ დადგენილიყო აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა, რაც შემდგომში აღმასრულებელ საბჭოს აძლევს შესაძლებლობას მეცნიერ-მუშაკი გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

საქმეში მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტი, კერძოდ, მიუხედავად ეთიკის კომისიის დებულების მოთხოვნისა, რომ კომისიის შემადგენლობაში იყოს დარგის სპეციალისტი, იაგო კაჭკაჭიშვილის საქმის განხილვისას არათუ დარგის, არამედ, არც მომიჯნავე დარგის სპეციალისტები არ ყოფილან, ამასთანავე, დაირღვა ეთიკის კომისიის დებულება, რომლის თანახმადაც უნდა გამოკითხულიყო „ბრალდებული" პირი და რაც ყველაზე მთავარია, ეთიკის კომისიამ დაადგინა თვითპლაგიატი, რაც კომისიის დებულებით არ იყო მისი კომპეტენცია.

საქმის მნიშვნელობა – თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სივრცე, რომელიც განათლების გავრცელების, ახალი თაობისათვის სწორი და სამართლიანი ღირებულებების გადაცემის პლატფორმაა, სადაც ყველა პატივს უნდა სცემდეს სხვის განსხვავებულ მოსაზრებას, თუმცა, სწორედ ამ გარემოში განსხვავებული მოსაზრებების გამო გახდა მოსარჩელე დისკრიმინაციის და შეიძლება ითქვას, დევნის მსხვერპლიც, რასაც ადასტურებს რამდენიმე განცხადება, რომლებიც თსუ-ს თანამდებობის პირების მხრიდან მის მიმართ გაკეთდა. მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო და ლექტორის საქმიანობა იყოს დამოუკიდებელი, მეცნიერი იყოს თავისუფალი და მიეცეს მისი ცოდნის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობა, არ ხდებოდეს მისი დისკრიმინაცია კრიტიკული მოსაზრებების გამო. უნივერსიტეტი მოწოდებული უნდა იყოს იმისკენ, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს ცოდნის რესურსი, რომელიც აქვს მეცნიერს და ხელი შეუწყოს მას შესაფერისი გარემოს შექმნით და არა პირიქით, გაუტეხოს მას სახელი. ეს საქმე მნიშვნელოვანია სწორედ მეცნიერების და ლექტორების უფლებების დაცვის მიზნით, რადგან ყველას შეეძლოს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა შიშის გარეშე, რომ შეიძლება დაკარგოს ის, რისთვისაც მთელი ცხოვრება იღვწოდა. საქმეს აქვს პრევენციული მნიშვნელობაც – ეს განსხვავებული პოზიციების გამო მეცნიერების უფლებების შელახვის თავიდან აცილებაა. მნიშვნელოვანია, დადგინდეს იაგო კაჭკაჭიშვილის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და ამავე დროს, დაევალოთ დისკრიმინაციის განმახორციელებელ პირებს დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რათა სამომავლოდ სხვებმა თავი არ შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან და არ მივიღოთ საგანმანათლებლო სივრცე თავისუფალი აზრის გარეშე.

შედეგი – პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა დასრულდა წარუმატებლად. თუმცა, დავა გრძელდება სააპელაციო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს არანაირ არსებით მსჯელობას მოსარჩლის მიერ დაყენებული ფაქტების მიმართ, არის ზედაპირული და სამართლებრივად დაუსაბუთებელი.

1.4. ეკატერინე კვესიტაძე ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" წინააღმდეგ (GYLA)

საქმის აღწერა - ეკატერინე კვესიტაძე დასაქმებული შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2''-ში სატელევიზიო გადაცემა „აქცენტების'' წამყვანის თანამდებობაზე.

2019 წლის ივლისიდან "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2''-ის 60% წილის მესაკუთრედ აღირიცხა ქიბარ ხალვაში, ხოლო 40% წილის მესაკუთრედ – შპს „პანორამა''. ახალმა მეწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ტელეკომპანიის დირექტორის ცვლილების თაობაზე. დირექტორად დაინიშნა პაატა სალია.

2019 წლის 20 აგვისტოს, ტელეკომპანიის ახალმა დირექტორმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება არხის წამყვანი ჟურნალისტების სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

ბრიფინგიდან გაირკვა, რომ პაატა სალიამ სამსახურიდან გაათავისუფლა საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნოდარ მელაძე, პროდუსერი გიორგი ლაფერაშვილი, ჟურნალისტები გიორგი გაბუნია და ეკატერინე კვესიტაძე. დირექტორს არც კი უცდია გათავისუფლების დისკრიმინაციული მოტივის დამალვა და განაცხადა: „არ შეიძლება ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგება არხს, ეწინააღმდეგება მის მესაკუთრეს, იყოს დასაქმებული."

2019 წლის 6 სექტემბერს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2''-ის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რომელმაც მას განუმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას ჩააბარებდნენ 2019 წლის 9 სექტემბერს. საბოლოოდ, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება მოსარჩელეს ჩაბარდა 2019 წლის 19 სექტემბერს, სადაც მითითებულია, რომ შრომითი ხელშეკრულება შეწყდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ'' ქვეპუნქტისა და შრომითი ხელშეკრულების 14.1. პუნქტის საფუძველზე. 2019 წლის 20 აგვისტოს გაკეთებული განცხადება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე კი დათარიღებულია 2019 წლის 10 სექტემბრით.

2019 წლის 20 აგვისტოს გაკეთებული განცხადებისა და საბოლოოდ, სამსახურიდან გათავისუფლებიდან გამომდინარე, დამსაქმებლის მხრიდან მოსარჩელე გახდა დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი.

საქმის მნიშვნელობა – თავისუფალი მედიის მიერ აზრის გავრცელების პროცესი თავისუფალია ყველა ინდივიდისა და ჯგუფისათვის, არ იკრძალება ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკა, არ არსებობს შეზღუდვა მედია საქმიანობაში, ჟურნალისტები კი თავისუფალი არიან მედიაორგანიზაციებში. სწორედ აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით ახორციელებდა საქმიანობას ეკატერინე კვესიტაძე, რაც, როგორც აღმოჩნდა მიუღებელი გამოდგა არხის ახალი მენეჯმენტისთვის. საქმიანობისას ეკატერინე კვესიტაძეს არასოდეს აურიდებია თავი თავისუფალი აზრის გამოთქმისთვის. დისკრიმინაციული მოპყრობის მიზეზი დამსაქმებლისთვის (ახალი მენეჯმენტისთვის) მიუღებელი მოსარჩელის ჟურნალისტური საქმიანობა და თავისუფლად გამოთქმული კრიტიკული აზრები იყო.

სწორედ, ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარე, ეს საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხება ჟურნალისტის საქმიანობაში ჩარევასა და თავისუფალი მოსაზრების გამო მისი სამსახურიდან გათავისუფლებას.

შედეგი – 2022 წლის 10 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ეკატერინე კვესიტაძის სარჩელი, კერძოდ, დააკმაყოფილა მოთხოვნა გადაუხდელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ, სხვა მხრივ, მათ შორის, არც დისკრიმინაციული მოპყრობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ სააპელაციო წესით.

1.5. თ.თ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (GYLA)

საქმის აღწერა – მოსარჩელე დასაქმებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დეტექტივის პოზიციაზე. იგი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას. ერთ დღესაც მოსარჩელის ქმედებები მისი უშუალო ხელმძღვანელისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. შედეგად, ნაცვლად სამსახურებრივი შემოწმების დაწყების მოთხოვნით გენერალური ინსპექციისთვის მიმართვისა, მან მიიღო თვითნებური გადაწყვეტილება და დასაქმებულს მოსთხოვა სამსახურებრივი იარაღის ჩაბარება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული ცხადდებოდა სამსახურში, მისი ხელმძღვანელი ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ აძლევდა საშუალებას, განეხორციელებინა მისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობები.

საბოლოოდ, უწყებამ ყოველგვარი დასაბუთებისა და საფუძვლის გარეშე მხოლოდ ხელმძღვანელი პირის პირადი შეხედულებების გამო მოსარჩელე სხვა განყოფილებაში გადაიყვანა. ამასთან, მის წინააღმდეგ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაქმებულმა უკანონო სამსახურებრივი გადაადგილების გამო თავად მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრა. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ამასთან, გამოიკვეთა მისი უშუალო ხელმძღვანელის თვითნებური მოქმედების ფაქტიც.

დასაქმებულმა საიას დახმარებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა:

მისი სამსახურიდან გათავისუფლებისა და სხვა განყოფილებაში გადაყვანის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და პირვანდელ განყოფილებაში დაბრუნება;

„დისციპლინური წესით დასჯის შესახებ“ ბრძანების ბათილად ცნობა;

შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, მისი ხელმძღვანელი პირების მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იშვიათია, რომ მოქმედმა თანამშრომელმა გაბედოს და დაიწყოს სასამართლოში დავა მის მიმართ განხორციელებული შევიწროების დადგენის მოთხოვნით. ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, რომ დაუშვებელია მაღალჩინოსნებმა პირადი განწყობების საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები სამსახურში დაქვემდებარებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

შედეგი – სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელის მოქმედება, პირადი წყენისა და ბრაზის საფუძველზე დასაქმებულისთვის შეეზღუდა სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პოლიციელებთან შედარებით, წარმოადგენდა დაუსაბუთებელ და განსხვავებულ მოპყრობას კანონიერი საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, სახეზე იყო დისკრიმინაციული მოპყრობა და სწორედ ეს დაედო საფუძვლად სამსახურებრივ გადაადგილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და დააკისრა მას მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. ამასთან, სასამართლომ სამსახურებრივი გადაადგილება მიიჩნია უკანონოდ და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა პირვანდელ პოზიციაზე აღდგენასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დადგინდა, რომ უკანონოა ხელმძღვანელის პირადი განწყობების საფუძველზე დასაქმებულების თვითნებური გადაყვანა ერთი ტერიტორიული ორგანოდან მეორეში.

1.6. ირაკლი ჯინჭარაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ

საქმის აღწერა – ირაკლი ჯინჭარაძეს გახლდათ სსიპ ბათუმის ბულვარის“ დირექტორი. სახელმწიფო აუდიტის 2020 წლის 4 ნოემბრის ანგარიშში აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის განკარგულებით ის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების განკარგულებას წინ უძღოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის სხდომა, სადაც ირაკლი ჯინჭარაძემ გააკრიტიკა დაახლოებით 4500 კვ/მ ფართობის პლაჟის ბრენდირებული სასტუმროებისთვის გრძელვადიანი იჯარით გადაცემის ინიციატივა, ვინაიდან ამით სანაპირო მონაკვეთი აღარ იქნებოდა ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლებისთვის. საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის დასრულებამდე ჯინჭარაძე დარბაზიდან გააძევა. აუდიტის დასკვნაში მითითებულ გარემოებებს რაც შეეხება, ირაკლი ჯინჭარაძემ ყველა მათგანზე მოახდინა რეაგირება ან წარადგინა ამ დარღვევების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა, რაზეც მან ინფორმაცია მიაწოდა ჯერ კიდევ აუდიტის საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებამდე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, რაიმე შენიშვნა ან საყვედური ირაკლი ჯინჭარაძის მიერ დარღვევების საპასუხოდ განხორციელებული ან განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე, არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას არ გამოუთქვამს. აქვე აღვნიშნავთ, რომ აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებული დარღვევების უმრავლესობა სათავეს იღებს ჯერ კიდევ კონკურსის წესით ირაკლი ჯინჭარაძის დირექტორად დანიშვნამდე პერიოდში, არსებული ხარვეზების შესახებ მოპასუხისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ გათავისუფლებამდე დიდი ხნით ადრე, თუმცა არათუ გათავისუფლება, არამედ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომაც ირაკლი ჯინჭარაძის წინააღმდეგ არ გამოყენებულა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2021 წლის 30 მარტის სხდომაზე მოსარჩელემ გამოხატა განსხვავებული პოზიცია, დღის წესრიგში დადგა მისი სამსახურებრივი მოვალეობებიდან ჩამოცილების საკითხიც.

2021 წლის 13 მაისს სარჩელით მივმართეთ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგი მოთხოვნებით: გაბათილდეს 2021 წლის 12 აპრილის N22 განკარგულება, აღდგეს პირის სამსახურში და აუნაზღაურდეს განაცდური. ამასთან სასამართლოს ვთხოვდით განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის დადგენასაც.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია რადგან წარმოდგენილი მტკიცებულე-

ბები მიუთითებს, რომ ირაკლი ჯინჭარაძის მიმართ განხორციელებულია დისკრიმინაციული მოპყრობა განსხვავებული შეხედულებების გამოხატვის გამო. დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად ის უკანონოდ გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან.

შედეგი – საქმე განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლომ და არ დააკმაყოფილა სარჩელის მოთხოვნები. შემდეგ გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით.

1.7. ლაშა ჩხვიმიანი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის წინააღმდეგ (GDI)

საქმის აღწერა – ლაშა ჩხვიმიანმა, სსიპ „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მონაწილეობა მიიღო დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში. სამინისტროში მხოლოდ ლაშა ჩხვიმიანის განაცხადი შევიდა. იმის მიუხედავად, რომ ლაშა ჩხვიმიანის საქმიანობას დადებითად აფასებდნენ სარეკომენდაციო საბჭოს წევრები, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა 2022 წლის 8 თებერვლის ბრძანებით კონკურსი ჩაშლილად გამოაცხადა. მინისტრმა იმავე დღეს საკუთარი შეხედულებით დანიშნა დმანისის სამხატვრო ხელმძღვანელად გიორგი სიხარულიძე, რომელიც არ მონაწილეობდა შესარჩევ კონკურსში.

საქმის მნიშვნელობა – საქმის მთავარი სამართლებრივი პრობლემა უკავშირდებოდა პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დისკრიმინაციულობას, რამაც განაპირობა მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღება. მინისტრმა დმანისის სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსის ჩაშლილად გამოცხადებას საფუძვლად დაუდო სარეკომენდაციო საბჭოს დებულება[1] , რომლის მიხედვითაც სამინისტრო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში წარდგენილი კანდიდატებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ან/და კანდიდატების საბჭოსთვის წარდგენა არ ჩაითვლებოდა მიზანშეწონილად. სახალხო დამცველის შეფასებით, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის შესაბამის პერიოდში გამოვლენილი პრაქტიკა ხელს უწყობდა იმგვარი პირობების შექმნას, რომელსაც, შესაძლოა, კონკრეტული კანდიდატები, მათი განსხვავებული შეხედულებების ან დისკრიმინაციისგან დაცული სხვა ნიშნის გამო, კონკურსის მონაწილე სხვა პირებთან თუ მინისტრის მიერ საკუთარი შეხედულებით დანიშნულ კადრებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და ამგვარად, შეექმნა პირდაპირი დისკრიმინაციის შესაძლებლობა.

14. „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 6 დეკემბრის N36299 ბრძანების მე-6-7 მუხლები.

შედეგი – დასრულდა წარმატებით. სახალხო დამცველმა მიიღო ზოგადი წინადადება და განმარტა, რომ სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის გამოვლენილი პრაქტიკა ხელს უწყობს იმგვარი პირობების შექმნას, რომელმაც შესაძლოა, კონკრეტული კანდიდატები მათი განსხვავებული შეხედულებების გამო კონკურსის მონაწილე სხვა პირებთან ან მინისტრის მიერ დანიშნულ კადრებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს. სახალხო დამცველმა პრობლემა დაინახა ასევე „პროფესიული თეატრების შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც მინისტრს ანიჭებს კონკურსის უსაფუძვლოდ ჩაშლის, ხელახლა გამოცხადებისა და აგრეთვე საკუთარი შეხედულებების მიხედვით სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნის უფლებამოსილებას. შესაბამისად, მოცემული საქმის სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში გრძელდება.

1.8. დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ (RG)

საქმის აღწერა – 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, დავით ნიჟარაძე მიწვეული იყო სასწავლო კურსის - „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი" წასაკითხად, რომლის სილაბუსის ერთ-ერთი ავტორიც თავად გახლავთ. კათედრის გამგის სახელით, დავით ნიჟარაძეს ოფიციალურად გაეგზავნა სემესტრული დატვირთვა და განრიგი, თუმცა, მოგვიანებით, დეკანის დაჟინებული მოთხოვნით, დატვირთვა სხვას გადაეცა. დავით ნიჟარაძე დაინტერესდა მიზეზით და მოითხოვა კათედრის გამგისგან, გადმოეცა ამ საკითხთან დაკავშირებული კომუნიკაცია, სადაც დეკანი მიუთითებს, რომ როგორც დეკანს, მიზანშეწონილად არ მიაჩნდა დავით ნიჟარაძის მოწვევა მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო, და რომ აღნიშნული მოსაზრებები აბსოლუტურად მიუღებელი იყო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობისთვის. დავით ნიჟარაძემ, სხვა კოლეგებთან ერთად, წერილობით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გიორგი შარვაშიძეს, რათა მას დაეფიქსირებინა პოზიცია და უფლებამოსილების ფარგლებში შეეჩერებინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მხრიდან კოლეგების ცალსახა სამსახურებრივი დევნის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტი, თუმცა, რექტორს ამ საკითხზე რეაგირება არ ჰქონია.

დავით ნიჟარაძემ, „უფლებები საქართველოს" მხარდაჭერით, 2019 წლის 18 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით მიმართა. სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციით დადგინდა, რომ დავით ნიჟარაძის მიმართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული მოსაზრების გამო. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სახალხო დამცველმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმართა. კორესპონდენციაზე საპასუხოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ თუ მოხდებოდა კათედრის ხელმძღვანელების მიერ ფაკულტეტის დეკანთან დავით ნიჟარაძის კანდიდატურის წარდგენა, განიხილებოდა მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელმა დავით ნიჟარაძის კანდიდატურა კიდევ ერთხელ წარადგინა, დავით ნიჟა-

რაძესთან შრომითი ხელშეკრულება მაინც არ გაფორმდა, აღნიშნული კი, შეიძლება შეფასდეს, როგორც სახალხო დამცველის რეკომენდაციის შეუსრულებლობა. შესაბამისად, დავით ნიჟარაძის ინტერესების დასაცავად, „უფლებები საქართველომ“ 2020 წლის 2 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, ასევე, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ეხება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადგენილი დისკრიმინაციის ფაქტის თაობაზე რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემდეგ სასამართლოსთვის მიმართვას, რამაც ხელი შეუწყო განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენას.

შედეგი – 2021 წლის 19 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დავით ნიჟარაძის მოთხოვნა, დაადგინა 2019-2020 წლის საშემოდგომო სემესტრში დავით ნიჟარაძის მიმართ განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო დისკრიმინაციულად მოპყრობის ფაქტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაავალა დავით ნიჟარაძის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 3 375 ლარის გადახდა, ასევე, მორალური ზიანის სახით 1 000 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში, დავით ნიჟარაძეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ სემესტრულად დაყო დისკრიმინაციის განხორციელების საკითხი, რადგან სახალხო დამცველის რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ერთ სემესტრს, თუმცა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შემდგომ სემესტრშიც გაგრძელდა უნივერსიტეტის დამოკიდებულება დავით ნიჟარაძესთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან, ასევე, დავით ნიჟარაძის მიერ, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ნაწილში. 2021 წლის 19 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სასწავლო კურსის წასაკითხად მიიწვია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 26 ივლისის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, რომლითაც სასამართლომ დაადასტურა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვის გამო, დავით ნიჟარაძეს დისკრიმინაციულად მოეპყრო. შესაბამისად, სასამართლომ უნივერსიტეტს ლექტორის სასარგებლოდ, მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 4 350 ლარის გადახდა დააკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაეს სასამართლოს უნივერსიტეტის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია.

1.9. თეა კასრაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ (RG)

საქმის აღწერა - თეა კასრაძე 2006 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე. 2006-2009 წლებში,

მას ეკავა ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა, 2009 წლიდან კი უწყვეტად იყო მოწვეული ლექტორი. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, თეა კასრაძე მიწვეული იყო სასწავლო კურსის წასაკითხად, თუმცა, მოგვიანებით, დეკანის დაჟინებული მოთხოვნით, დატვირთვა სხვას გადაეცა. თეა კასრაძე დაინტერესდა მიზეზით და მოითხოვა კათედრის გამგისგან, წერილობით აეხსნა მიზეზი, სადაც დეკანი აღნიშნავდა, რომ როგორც დეკანს, მიზანშეწონილად არ მიაჩნდა თეა კასრაძის მოწვევა, მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო, და რომ მისი მოსაზრებები აბსოლუტურად მიუღებელი იყო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობისთვის. თეა კასრაძემ სხვა კოლეგებთან ერთად წერილობით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს – გიორგი შარვაშიძეს, რათა უფლებამოსილების ფარგლებში შეეჩერებინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მხრიდან კოლეგების ცალსახა სამსახურებრივი დევნის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტი. თუმცა, რექტორს ამ საკითხზე რეაგირება არ ჰქონია.

თეა კასრაძემ, „უფლებები საქართველოს“ დახმარებით, 2019 წლის 18 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველს განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით მიმართა. სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციით, დადგინდა, რომ თეა კასრაძის მიმართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას, განსხვავებული მოსაზრების გამო. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სახალხო დამცველმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2020 წლის 27 თებერვალს მიმართა. კორესპონდენციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ თუ მოხდებოდა კათედრის ხელმძღვანელების მიერ ფაკულტეტის დეკანთან თეა კასრაძის კანდიდატურის წარდგენა, განიხილებოდა მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელმა თეა კასრაძის კანდიდატურა კიდევ ერთხელ წარადგინა, თეა კასრაძესთან შრომითი ხელშეკრულება მაინც არ გაფორმდა, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციის შეუსრულებლობა. ამასთან დაკავშირებით, „უფლებები საქართველომ“ 2020 წლის 2 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, ასევე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რადგან საკითხი ეხება სახალხო დამცველის მიერ დადგენილი დისკრიმინაციის ფაქტის თაობაზე რეკომენდაციის შეუსრულებლობას, რის გამოც მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა.

შედეგი – 2021 წლის 16 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს აზრით, საათების განაწილებაზე უარი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ლექტორების მოწვევა იმ პერიოდში საჭიროებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, მხარეებს

შორის მორიგება დამტკიცდა. მორიგების პირობების თანახმად, უნივერსიტეტმა უზრუნველყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთი „ბ“ კონტრაქტის საშტატო ერთეულზე აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით ღია კონკურსის გამოცხადება, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესისა და პრინციპების შესაბამისად, ხოლო თეა კასრაძემ, მორიგების აქტის საფუძველზე, უარი თქვა მოცემულ დავაზე წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნებზე – განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენაზე, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრასა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

1.10. ლ. ჩ. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის წინააღმდეგ (RG)

საქმის აღწერა – ლ. ჩ. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტში“ 2011 წლიდან დასაქმებული იყო კონტროლიორის თანამდებობაზე. ლ. ჩ. სატრანსპორტო კომპანიისათვის იყო პირველი კონტროლიორი ქალი. მუშაობის დაწყებისთანავე, ის დაკისრებულ სამსახურებრივ ვალდებულებებს ეკიდებოდა სრული პასუხისმგებლობით, რის გამოც, ხშირად იმსახურებდა პრემიას. 2020 წლიდან ლ. ჩ. არის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი. როდესაც კომპანიის ხელმძღვანელობა შეიცვალა და დირექტორად დაინიშნა არჩილ კონცელიძე, ლ. ჩ. გააფრთხილეს, რომ დაეტოვებინა პარტია და შეეწყვიტა პოლიტიკური აქტიურობა. 2021 წლის 25 იანვარს, როდესაც მოსარჩელისთვის იყო მორიგი სამუშაო დღე, ლ. ჩ.-ს განუმარტეს, რომ გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან.

ლ.ჩ.-ს მიაჩნია, რომ იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, რადგან ის იზიარებს ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და შეხედულებებს. მისი პოზიციით, მხოლოდ მაშინ გახდა არასასურველი თანამშრომელი, როდესაც 2020 წელს პარტიაში გაწევრიანდა. სასამართლოში მოპასუხე მხარემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ გაუშვა სამსახურიდან მოსარჩელე თითქოსდა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, მაშინ, როდესაც იგი შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდა უვადო კონტრაქტის გაფორმების წინაპირობებს. ასევე, მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ახდენდა ლ. ჩ.-ს დისკრედიტაციას მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

საქმის მნიშვნელობა – ლ. ჩ. არის კონტროლიორი ქალი, რომელიც დაასაქმა სატრანსპორტო კომპანიამ, ხოლო მისი გათავისუფლება მოხდა ფორმალურად, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, მას შემდეგ, რაც იგი ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიაში გაწევრიანდა. შესაბამისად, საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან იკვეთება პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი.

შედეგი - ლ. ჩ.-მ სამართლებრივი დახმარებისთვის „უფლებები საქართველოს“ 2021 წლის თებერვალში მიმართა, რის შემდეგაც, ორგანიზაციის დახმარებით, სარჩელი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ლ. ჩ.-მ მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა, შრომითი ურთიერთობის განხორციელებისას პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით.

ამავე პერიოდში, ლ. ჩ.-მ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე. საქმე არ იქნა წარმოებაში მიღებული, რადგან იმავე საკითხზე სარჩელი იყო სასამართლოში წარდგენილი.

2022 წლის 11 მარტს, გაიმართა პირველი სასამართლო სხდომა და მოსამართლემ ადმინისტრაციული კოლეგიიდან საქმე გადაუგზავნა სამოქალაქო კოლეგიას, ვინაიდან მიიჩნია, რომ დავა გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, თუმცა, არ უმსჯელია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე იყო ადმინისტრაციული ორგანო.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ, ბათილად ცნო სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება, მოპასუხეს დაევალა, აუნაზღაუროს მოსარჩელეს განაცდური გათავისუფლებიდან აღდგენამდე. სარჩელი ასევე დაკმაყოფილდა სამსახურში აღდგენის ნაწილში. გადაწყვეტილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, იმ მოცემულობით, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, კერძოდ, პოლიტიკური შეხედულებების გამო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისგან მომდინარე, 5 000 ლარის ოდენობით, ზიანის ანაზღაურება.

1.11. თ.დ. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა - 2022 წლის 10 იანვარს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მომართა გორში მცხოვრებმა თ.დ-მ. მისი განმარტებით, 2013 წლიდან მუშაობს სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში. ამ დროის განმავლობაში არ მიუღია არავითარი საყვედური და არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი. მეტიც, წარმატებული მუშაობისათვის მიღებული აქვს მედალი და სიგელი, არაერთი სიტყვიერი მადლობა. აღებული აქვს არაერთი პრემია/ ჯილდო. აქედან გამომდინარე, მისთვის გაურკვეველია, თუ რატომ მიიღო ჰოსპიტლის დირექციამ მისი სამსახურიდან გაშვების გადაწყვეტილება. აქვს ეჭვი, რომ გაათავისუფლეს მეუღლის პოლიტიკური შეხედულებების გამო, რამდენადაც, მისი მეუღლე იყო გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, რომელმაც თანამდებობა დატოვა გიორგი გახარიას პოლიტიკურ პარტიაში გადასვლის შემდეგ. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა შეადგინა სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში წარსადგენად. მოთხოვნილი იქნა თ.დ-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეტყობინებისა და ბრძანების ბათილად ცნობა, მისი სამსახურში აღდგენა, განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ამით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნველოვანია, რამდენადაც ის ეხება მეუღლის პოლიტიკური შეხედულების გამო დასაქმებულის პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით სამსახურიდან გათავისუფლებას. ახლობლებისა და ინდივიდების პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან განთავისუფლება ხშირი მოვლენაა, თუმცა სისტემური დისკრიმინაციის ფაქტები ზოგჯერ ყურადღებისა და სამართლებრივი რეაგირების მიღმა რჩება, რადგან დისკრიმინაციული ნიშნით სამსახურიდან განთავისუფლების დადგენა რთული სამტკიცებელია. ასეთ საქმეებში სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული ნიშნის დადგენას პრევენციული მნიშვნელობა აქვს,

ვინაიდან სხვა დასაქმებულებსაც იცავს დამსაქმებლის მხრიდან სამომავლო დისკრიმინაციული მიდგომისგან.

შედეგი – პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა. ბაჟის ოდენობიდან გამომდინარე, დასაქმებულმა ამ ნაწილში დავა ვეღარ გააგრძელა ზემდგომ ინსტანციაში. ამჟამად, საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია, თუმცა მხოლოდ შრომითი დავის ნაწილში.

1.12. ნ.ი. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა - 2022 წლის 10 იანვარს ადამიანის უფლებათა ცენტრს მომართა გორში მცხოვრებმა ნ.ი-მ. მისი განმარტებით, 2007 წლიდან მუშაობს სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში. ამ დროის განმავლობაში არ მიუღია არავითარი საყვედური და არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი. მეტიც, წარმატებული მუშაობისათვის მიღებული აქვს მედალი და სიგელი, არაერთი სიტყვიერი მადლობა. აღებული აქვს არაერთი პრემია/ჯილდო. აქედან გამომდინარე, მისთვის გაურკვეველია თუ რატომ მიიღო ჰოსპიტლის დირექციამ მისი სამსახურიდან გაშვების გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ ზეპირსიტყვიერად კადრების შემცირება დაუსახელეს მიზეზად, აქვს ეჭვი, რომ გაათავისუფლეს შვილის პოლიტიკური შეხედულებების გამო, რამდენადაც, მისი შვილი (თ.დ-ს მეუღლე) იყო გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, რომელმაც თანამდებობა დატოვა გიორგი გახარიას პოლიტიკურ პარტიაში გადასვლის შემდეგ. აღნიშნულ ეჭვებს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მასთან ერთად გაათავისუფლეს მისი რძალი თ.დ-ც. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა გაუწია იურიდიული კონსულტაცია და წარდგენილი იქნა სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში. მოთხოვნილია ნ.ი-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეტყობინებისა და ბრძანების ბათილად ცნობა, მისი სამსახურში აღდგენა, განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ამით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის ეხება შვილის პოლიტიკური შეხედულების გამო დასაქმებულის პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით სამსახურიდან გათავისუფლებას. ახლობლებისა და ინდივიდების პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლება ხშირი მოვლენაა, თუმცა სისტემური დისკრიმინაციის ფაქტები ზოგჯერ ყურადღებისა და სამართლებრივი რეაგირების მიღმა რჩება, რადგან დისკრიმინაციული ნიშნით სამსახურიდან განთავისუფლების დადგენა რთული სამტკიცებელია. ასეთ საქმეებში სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული ნიშნის დადგენას პრევენციული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სხვა დასაქმებულებსაც იცავს დამსაქმებლის მხრიდან სამომავლო დისკრიმინაციული მიდგომისგან.

შედეგი - პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა. ბაჟის ოდენობიდან გამომდინარე, დასაქმებულმა ამ ნაწილში დავა ვეღარ გააგრძელა ზემდგომ ინსტანციაში. ამჟამად, საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია, თუმცა მხოლოდ შრომითი დავის ნაწილში.

1.13 ქ.მ. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა - 2022 წლის 10 იანვარს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მომართა თბილისში მცხოვრებმა ქ.მ.-მ. მისი განმარტებით, 2017 წლიდან მუშაობს გორში, სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში. ამ დროის განმავლობაში არ მიუღია არავითარი საყვედური და არ დაჰკისრებია დისციპლინური სახდელი. წარმატებული მუშაობისათვის მიღებული აქვს არაერთი სიტყვიერი მადლობა. აღებული აქვს არაერთი პრემია/ჯილდო. ზეპირსიტყვიერად განემარტა, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს ყოფილი მეუღლის მიერ მედიაში (ტ/კ მთავარი) გაკეთებული კრიტიკული განცხადების გამო. იმის დასადასტურებლად, რომ ის და მისი მეუღლე აღარ იმყოფებოდნენ ქორწინებაში, მოსთხოვეს კიდეც მეუღლესთან განქორწინების მოწმობა. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა გაუწია იურიდიული კონსულტაცია და წარდგენილი იქნა სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში. მოთხოვნილია ქ.მ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეტყობინებისა და ბრძანების ბათილად ცნობა, მისი სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ამით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის ეხება ყოფილი მეუღლის პოლიტიკური შეხედულებისა და ოპოზიციურ მედიაში გაკეთებული კრიტიკული განცხადების გამო დასაქმებულის სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას. პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან განთავისუფლება იურიდიული თვალსაზრისით რთულად დასამტკიცებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია სისტემური დისკრიმინაციის ფაქტების დასადგენად. ასეთ საქმეებში საზოგადოების ყურადღების გამახვილებასა და სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული ნიშნის დადგენას პრევენციული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სხვა დასაქმებულებსაც იცავს დამსაქმებლის მხრიდან სამომავლო დისკრიმინაციული მიდგომისაგან.

შედეგი - პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა. ბაჟის ოდენობიდან გამომდინარე, დასაქმებულმა ამ ნაწილში დავა ვეღარ გააგრძელა ზემდგომ ინსტანციაში. ამჟამად, საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია, თუმცა მხოლოდ შრომითი დავის ნაწილში.

1.14. ა.ბ. შპს "საქართველოს ფოსტა" ქარელის სერვისცენტრის წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა - 2020 წლის 26 ივნისს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მომართა ქარელის რაიონის სოფელ რუისში მცხოვრებმა ა.ბ.-მ. მისი განმარტებით, თითქმის 3 წელია, რაც მუშაობდა შპს "საქართველოს ფოსტაში" ქარელის სერვისცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე. 2020 წლის 1 მარტიდან ა.ი.-სთან დამსაქმებელმა გააფორმა უვადო შრომითი ხელშეკრულება. 2020 წლის 27 მაისს, ა.ბ.-მ მონიტორინგის დეპარტამენტისაგან მიიღო ელექტრონული ფოსტა, 2020 წლის დასაწყისიდან ქარელის სერვისცენტრის მიერ პროგრამულ მონაცემებში არსებული დარღვევებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების თაობაზე, რაზედაც ა.ბ.-მ მეორე დღესვე გასცა დასაბუთებული პასუხი და გამოავლინა მზადყოფნა შენიშვნების გასათვალისწინებლად. 4 ივნისს მან მიიღო შპს საქართველოს ფოსტის შეტყობინება, რომლის მიხედვითაც 10 ივნისიდან დამსაქმებელი წყვეტდა შრომით ხელშეკრულებას. ა.ბ.-ს

მიაჩნია, რომ შპს საქართველოს ფოსტის ქარელის სერვისცენტრის მენეჯერის თანამდებობიდან გათავისუფლდა მისი სამოქალაქო აქტიურობის და განსაკუთრებით, რუისის სპორტული მოედნის გასხვისების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო, ქარელის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა გულიაშვილის არაფორმალური გავლენების გამოყენებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შედგა სარჩელი შპს საქართველოს ფოსტის მიმართ ა.ბ.-ს სამსახურიდან გაშვების შესახებ შეტყობინებისა და ბრძანების ბათილად ცნობის, მისი სამსახურში აღდგენის, განაცდურისა და ზიანის ანაზღაურების, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

საქმის მნიშვნელობა – სამოქალაქო აქტიურობა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობა არ უნდა ხდებოდეს პირთა სამსახურიდან განთავისუფლების მოტივი, მით უმეტეს, მუნიციპალიტეტის მერის არაფორმალური გავლენების გამოყენებით. სწორედ სამოქალაქო აქტიურობის გამო გახდა ბენეფიციარი სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი. ასეთ საქმეებში დისკრიმინაციული ნიშნის დადგენა, იწვევს სისტემურ ცვლილებებს იმავე სახის დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრის გზაზე. მსგავს საქმეებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება ასევე მნიშვნელოვანია პრევენციული მიზნებისთვის.

შედეგი - პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა. დასაქმებულმა აღარ გააგრძელა დავა ზემდგომ ინსტანციაში. ამჟამად, საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია, თუმცა დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრის გამო.

1.15. თ.ბ. შპს „ევროპული სკოლის“ წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა - თ.ბ. 2013 წლიდან მუშაობს შპს „ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის English A საგნის მასწავლებლად. ამ დროის განმავლობაში ის კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. თ.ბ.-ს პროფესიონალიზმსა და უმაღლეს კვალიფიკაციას ადასტურებს მისი შედეგები და მის მიმართ გაცემული მადლობის სიგელი. ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდში მოსარჩელისთვის ცხადი ხდებოდა, რომ სკოლის დირექტორი მის შევიწროებას ცდილობდა და უპირატესობას მეორე ინგლისური ენის პედაგოგს ანიჭებდა, რომელსაც საყვედურიც კი აქვს დამსახურებული არაკეთილსინდისიერი ქცევისთვის. ამას ადასტურებს ისიც, რომ 2020 წლის სექტემბერში სადიპლომო პროგრამაზე საათობრივი დატვირთვა თ.ბ.-ს შეუმცირდა და დაემატა უცხოელ პედაგოგს. გარდა ამისა, წინა წლებში მოსწავლეებს მასწავლებელი დისკრეციული უფლებამოსილებით აცნობდა სავარაუდო საბოლოო ნიშანს, 2021 წელს კი, როცა შედგა სადიპლომო პროგრამის კრება, კოორდინატორმა დააყენა საკითხი, რომ აკრძალულიყო მასწავლებლის მიერ სავარაუდო ნიშნების მოსწავლეებისთვის გაცნობა. თ.ბ. აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც ხმამაღლა დააფიქსირა თავისი განსხვავებული აზრი, ვინაიდან ის თვლიდა რომ მოსწავლისთვის სავარაუდო საბოლოო შეფასების გაცნობა სტუდენტს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვაში დაეხმარებოდა.

აღსანიშნავია, რომ პირად საუბრებში დირექტორი ამბობდა, რომ მისი პრიორიტეტი სკოლაში უცხოელი პედაგოგის მოწვევაა. ასევე, სატელეფონო საუბრების დროს, დირექტორმა არაერთხელ უსაყვედურა თ.ბ.-ს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით არ-

სებული განსხვავებული აზრის გამო. 2021 წლის 15 ივლისს სკოლის იურისტმა დისტანციური შეხვედრაზე თ.ბ.-ს საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლის სანაცვლოდ 6 თვის ოდენობის კომპენსაცია შესთავაზა, რაზეც თ.ბ.-მ წერილობით საპასუხო მოთხოვნა 3 წლის ხელფასის ოდენობით კომპენსაცია მოითხოვა. მას ამ მოთხოვნაზე პასუხი არ მიუღია. 2021 წლის 25 აგვისტოს მოსარჩელემ მიიღო პასუხი, რომ იგი განთავისუფლდა სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობისა და ორგანიზაციული ცვლილების გამო. აღსანიშნავია, რომ პედაგოგი, რომელმაც საყვედური დაიმსახურა, დარჩა სკოლაში სამუშაოდ.

საქმის მნიშვნელობა – დირექტორის მიერ დასახელებული ოფიციალური მიზეზი - ე.წ. „ორგანიზაციული ცვლილება“ ასეთ საქმეებში არის განთავისუფლების არარეალური მიზეზი და ემსახურება ნამდვილი განზრახვის, შრომის კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევისა და დისკრიმინაციული მოპყრობის შეფუთვას. რეალურად, თ.ბ. იყო განსხვავებული აზრის ნიშნითა და ეროვნულობის/ წარმოშობის ნიშნით დისკრიმინირებული. ამდენად, საქმეს დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც კონკრეტული ინდივიდის უფლებების დაცვის კონტექსტში, ისე სამომავლო სისტემური დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის.

შედეგი - სასარჩელო მოთხოვნით მოთხოვნილია თ.ბ.-სთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობა და მოსარჩელის გათავისუფლებამდელ პოზიციაზე აღდგენა; დისკრიმინაციული მოპყრობისა და შევიწროების ფაქტის დადასტურება განსხვავებული აზრისა და ეროვნულობის ნიშნით; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და მორალური ზიანის კომპენსაცია. საქმე ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილვის პროცესშია.

2. რელიგიური/რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია

2.1. გლებ ტიმოფეევი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წინააღმდეგ (GYLA)

საქმის აღწერა - გლებ ტიმოფეევი 2019 წლის მაისიდან ნოემბრამდე იმყოფებოდა გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. გლებ ტიმოფეევი არის ვეგანი ცხრა წელია და იკვებება მცენარეული ცილებით, ცხიმებით და ნახშირწყლებით. ციხეში მოხვედრისთანავე გლებ ტიმოფეევმა აცნობა ადმინისტრაციას რომ იყო ვეგანი და სჭირდებოდა სპეციალური კვების რაციონი, თუმცა თხოვნის მიუხედავად, მას არ მიეწოდებოდა საჭირო საკვები.

ციხეში ყოფნის განმავლობაში, გლებ ტიმოფეევს არ ჰქონდა სტაბილური კვების შესაძლებლობა. იმ ვითარებაში, როდესაც ციხეში მყოფი სხვა არავეგანი პატიმრები რამდენიმე სხვადასხვა კერძით იკვებებოდნენ, მას უწევდა ან შიმშილი, ან მცირე ულუფით კვება. სხვა პატიმრებისგან განსხვავებით, გლებ ტიმოფეევის კვება სეზონების მიხედვით და თვეში კვირების მიხედვით არ იცვლებოდა. საქმის მასალებში არსებული

კვების მენიუთი დგინდება რომ გლებ ტიმოფეევს არ აჭმევდნენ არც პურს და არც ხილს, არ მიეწოდებოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვიტამინები. ასევე, არასათანადო კვების მენიუ შესთავაზეს 2019 წლის 28 აგვისტოდან, შესაბამისად, ამავე წლის მაისიდან 28 აგვისტომდე ფაქტობრივად სრულიად მშიერი იყო.

იმის გამო, რომ გლებ ტიმოფეევი ვერ იღებდა ვეგანურ საკვებს, შესაბამისად ვერ იღებდა მისთვის აუცილებელ ვიტამინებსა და საკვებ ნივთიერებებს, რის გამოც აწუხებდა ჯანმრთელობის პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ გლებ ტიმოფეევისთვის შეუძლებელია არავეგანური საკვების ჭამა, ციხის ადმინისტრაცია მისთვის აუცილებელ საკვებს მას არ აწვდიდა, რადგან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში არ არსებობდა სპეციალური მენიუ ვეგანებისათვის, არც ასეთი პროდუქტების ყიდვაა შესაძლებელი და გლებ ტიმოფეევის არაერთი თხოვნის მიუხედავად, არც შეტანის ნებას რთავდნენ. ამასთან, გლდანის N8 დაწესებულებაში არ ჰყავდათ დიეტოლოგი, რომელსაც ექნებოდა ვეგანებისთვის კვების მენიუს შედგენისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია.

"ევროპის ციხის წესების შესახებ„ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის №(2006)2 რეკომენდაციის მიხედვით, პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით. საკვები რაციონის მოთხოვნები, როგორიცაა კალორიულობა და ცილების შემცველობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ერთადერთი ბრალდებულთა და მსჯავრდადებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების თაობაზე იუსტიციის და ჯანდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება არ ითვალისწინებს ვეგანი პატიმრების კვების რეჟიმს.

გლებ ტიმოფეევმა 2020 წლის 05 ნოემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება, 10 000 ლარის ოდენობით. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გაიზიარეს სასარჩელო მოთხოვნა და განმარტეს, რომ გლებ ტიმოფეევი უზრუნველყოფილი იყო კვების ვეგანური რაციონით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა დისკრიმინაციის ფაქტი და გლებ ტიმოფეევის სასარგებლოდ მოპასუხე ორგანოებს სოლიდარულად დაეკისრათ 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება. საქალაქო სასამართლომ განმარტა რომ ვეგანობა კონკრეტული პირის კულტურის და ღირსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთი საჭიროებების მქონე მსჯავრდადებულების სათანადო (სპეციალური) კვება, საჭირო კალორიულობით განსაზღვრული უნდა იყოს სხვა, დანარჩენი მსჯავრდადებულების მსგავსად. სასამართლომ განმარტა, რომ გლებ ტიმოფეევის მიმართ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, განხორციელდა გონივრულ საფუძველს მოკლებული და გაუმართლებელი მოპყრობა მაშინ, როდესაც იგი სხვა, დანარჩენი მსჯავრდადებულებისაგან არსებითად განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდა მისი კვებითი საჭიროებების თვალსაზრისით.

საქმის მნიშვნელობა – საქმემ შესაძლებელია შეცვალოს ციხეში მოხვედრილი ვეგანი პატიმრების კვების პოლიტიკა როგორც სათანადო ნორმატიული მოწესრიგების უზრუნ-

ველყოფის, ისე ფაქტობრივი აღსრულების ნაწილში: შესაძლოა ვეგანი პატიმრებისთვის სპეციალურად მომზადებული საკვები მენიუ შეიქმნას ან/და უფლებამოსილმა ორგანოებმა უზრუნველყონ შესაბამისი დიეტოლოგის/ნუტრიციოლოგის არსებობა, რომელიც განსაზღვრავს ამგვარი კვების რეჟიმის მქონე პატიმრებისთვის სათანადო კვების მენიუს. ამასთან, აღნიშნულ საქმის სამართლებრივმა შედეგმა შესაძლოა გავლენა იქონიოს იმ პატიმრების კვების საჭიროებების დაკმაყოფილებაზეც, რომლებიც ვეგეტარიანელები ან სხვა სახის განსხვავებული კვების რეჟიმის მქონე პირები არიან.

შედეგი – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა დისკრიმინაციის ფაქტი და გლებ ტიმოფეევის სასარგებლოდ მოპასუხე ორგანოებს სოლიდარულად დაეკისრათ 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. როგორც გლებ ტიმოფეევმა, ისე მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა წარადგინეს საკასაციო საჩივრები. ამ ეტაპზე საქმე უზენაეს სასამართლოშია გადაგზავნილი.

2.2. ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

საქმის აღწერა – 2017 წლის 10 ივნისს „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ ადგილობრივი მერიის გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა თვითორგანიზებითა და საკუთარი სახსრებით მიწის ნაკვეთი შეისყიდა და მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით 2017 წლის 8 თებერვალს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. 2017 წლის 5 მაისს ადგილობრივმა თვითმმართველობამ მუსლიმებს უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მერიის გადაწყვეტილება ძირითადად ორ არგუმენტს ეყრდნობოდა: საცხოვრებელ ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიზანშეუწონლობა და საკულტო ნაგებობისათვის განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის საჭიროება.

სასამართლო სარჩელის ძირითადი მოთხოვნა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა და მისი შედეგების აღმოფხვრა იყო, რაც მიიღწეოდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობითა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ახალი აქტის გამოცემის გზით მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების დავალდებულებაში (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა).

საქმის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ორ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა. 2019 წლის 30 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით იმ ფაქტობრივი მდგომარეობის გამო, როდესაც იგივე საცხოვრებელ ზონაში არაერთი მართლმადიდებლური ეკლესიაა აშენებული, მათ შორის, რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკუთრებაშიარსებულმიწაზე.ამავდროულად,ბათილადცნოსადავოადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. თუმცა, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, პირდაპირ დავალებოდა ბათუმის მერიას მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემა.

2019 წელს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბათუმის მერიამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. 2019 წლის 4 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმაც. 2021 წლის 13 აპრილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არც ერთი მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

2021 წლის ივლისში გადაწყვეტილება ორივე მხარემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. 2022 წლის 13 იანვრის განჩინებით უზენაესმა სასამართლომ ორივე საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო, მხარეთა დასწრების გარეშე განსახილველად. საქმის განხილვა ამ ეტაპზეც დროში საკმაოდ გაჭიანურებული პროცესი აღმოჩნდა. ამ დრომდე უცნობია, როდის განიხილავს საქმეს უზენაესი სასამართლო. „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 34-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადაა 6 თვე, (რომელიც მოიცავს საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადასაც – არაუმეტეს 3 თვეს) სასამართლოს მიერ უკვე დარღვეულია.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეხება ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას, რომელსაც მაღალი სოციალური ინტერესი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუსლიმი თემისთვის რელიგიის თავისუფლების დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის. ქალაქში არსებული ერთადერთი მეჩეთი მლოცველებს ვერ იტევს, არასაკმარისი სალოცავი სივრცის გამო, ბათუმელ მუსლიმ მლოცველებს კი უკვე დიდი ხანია, არასათანადო პირობებში, ქუჩაში უწევთ რელიგიური რიტუალების აღსრულება.

შედეგი – ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით საქმე წარმატებულია. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი არსებითად თანასწორ რელიგიური გაერთიანებების მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის დაუშვებლობას. სასამართლოს რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მიუხედავად ხელისუფლება განსხვავებულ გზას ირჩევს. სახელმწიფო ხელოვნურად უქმნის დაბრკოლებას მუსლიმ თემს და აჭიანურებს მთელს პროცესს. შედეგად, კვლავაც სახეზეა მუსლიმი თემის განგრძობითი დისკრიმინაცია.

2.3. აბიტურიენტები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ

საქმის აღწერა – ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია შაბათ დღეს აღიარებს ყოველდღიური საქმეებისაგან დასვენებისა და ღვთისმსახურების დღედ. მათი რწმენის შესაბამისად, დაუშვებელია ამ დღეს სეკულარულ აქტივობებში, მათ შორის, გამოცდაში მონაწილეობის მიღება. ამ გარემოებიდან გამომდინარე, 2020 წლის 30 ივნისს, ორმა აბიტურიენტმა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიმართა განცხადებებით და ითხოვეს 2020 წლის 18 ივლისს დანიშნული ინგლისური ენის გამოცდის სხვა დღეს გადატანა. ორივე მათგანი მონაწილეობდა 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის 01 ივლისის წერილით არ დააკმაყოფილა აბიტურიენტებს მოთხოვნა.

TDI-მ, რომელიც იცავს აბიტურიენტების ინტერესებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით 2020 წლის 15 ივლისს

მიმართა. მოთხოვნას წარმოადგენდა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დავალებოდა დაგეგმილი ერთიანი ეროვნული გამოცდის გადატანა 17 ან 19 ივლისს, ან ნებისმიერ სხვა დღეს, გარდა შაბათისა. საყურადღებოა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული გამოცდების განრიგით, ინგლისური ენის გამოცდა დანიშნული იყო სამ სხვადასხვა დღეს – კერძოდ, 17, 18 და 19 ივლისს. შესაბამისად, კონკრეტული აბიტურიენტებისთვის გამოცდის სხვა დღეს გადატანა გამოცდების ცენტრისგან დამატებით ძალისხმევას არ მოითხოვდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2020 წლის 16 ივლისის, განჩინებით, იმსჯელა რა დანიშნულ გამოცდაზე აბიტურიენტების განაწილების ლეგიტიმურ მიზანზე და განმცხადებელთა რწმენის, აღმსარებლობისა და განათლების უფლებების სასარგებლოდ დააკმაყოფილა განმცხადებლების მოთხოვნა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაავალა გამოცდის გადატანა 17 ან 19 ივლისს. რის საფუძველზეც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტებს გამოცდა 19 ივლისს, კვირა დღეს გადაუტანა.

პარალელურად, 2020 წლის 24 ივლისს, განმცხადებლებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში, გამოცდების ეროვნული ცენტრის უარის ბათილობის, რელიგიის და რწმენის ნიშნით არაპირდაპირი დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით, სიმბოლური ერთი ლარის ოდენობით.

2022 წლის 20 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნები. სასამართლომ ბათილად ცნო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული უარის აქტი. თუმცა, არ დააკმაყოფილა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენისა და მორალური ზიანის სიმბოლური კომპენსაციის ცენტრისათვის დაკისრების მოთხოვნები.

საყურადღებოა ისიც, რომ 2020 წლის 29 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა მიმდინარე საქმეზე დაყრდნობით, ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს განათლების სამინისტროს, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს გამოცდების ორგანიზების პროცესში რელიგიური საჭიროებების გათვალისწინება.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც იკვეთება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შერჩეულმა ამ ღონისძიებამ შეზღუდა განმცხადებელთა რწმენის, აღმსარებლობისა და განათლების უფლებები. მორწმუნე ადამიანების ეს უფლებები კი ექცევა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებულ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში. გარდა ამისა საქმეს ექნება პრევენციული მნიშვნელობაც.

შედეგი – აღნიშნული საქმე წარმატებულია იმ კუთხით, რომ აბიტურიენტებმა შეძლეს გამოცდის სხვა დღეს ჩაბარება. თუმცა, პრობლემურია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დააკმაყოფილა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა. აღნიშნული საქმე, მიმდინარე წელს თბილისი სააპელაციო სასამართლოში გრძელდება. ამ დრომდე უცნობია როდის განიხილავს საქმეს სასამართლო.

2.4. დიმიტრი სილაგაძე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წინააღმდეგ (GYLA)

საქმის აღწერა – დიმიტრი სილაგაძე 2009 წლის 29 სექტემბრიდან 2020 წლის 27 თებერვლამდე მუშაობდა სსიპ ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში სპეციალისტის პოზიციაზე, ჯერ შტატგარეშე თანამშრომლად, ხოლო 2010 წლის 04 მარტიდან მასთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით. დიმიტრი სილაგაძე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, კონკრეტულად მხედველობის შეზღუდვის მქონე პირია.

2019 წლის 17 დეკემბრის ბრძანების № 13703/კ საფუძველზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციიდან გამომდინარე, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტისა და ამავე სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრა, რომლის თანახმად დასანიშნი / გადასაყვანი / გასათავისუფლებელი, სტრუქტურული ქვედანაყოფის – სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ეტლით მოსარგებლე სპეციალისტების კვალიფიკაციის შეფასების კრიტერიუმად განისაზღვრა მხოლოდ გასაუბრება, ხოლო სხვა პირების მიმართ წერითი გამოცდა და გასაუბრება. შესაბამისად, დიმიტრი სილაგაძე და მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები სააგენტომ ჩააყენა არათანაბარ მდგომარეობაში და აღნიშნული ბრძანება თავისი შინაარსით წარმოადგენდა დისკრიმინაციულ აქტს.

წერითი გამოცდის ჩატარების შემდგომ დიმიტრი სილაგაძე დაიბარეს გასაუბრებაზე, სადაც ერთ-ერთი პირის მიერ დაისვა შეკითხვა თუ რატომ არ გავიდა წერით გამოცდაზე, რაზეც მან განუმარტა, რომ ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმებით საჭიროდ არ იქნა მიჩნეული წერითი გამოცდის ჩაბარება. გასაუბრებაზე ხელმძღვანელი პირებმა უთხრეს, რომ მხედველობის პრობლემებს შეიძლება სირთულეები შეექმნა სამსახურისათვის და მისთვისაც და შეიძლება, მას მოვალეობები სათანადოდ ვერ შეესრულებინა. ყველა შეკითხვას კვალიფიციურად გაეცა პასუხი, თუმცა მთავარი აქცენტი მიმართული იყო სილაგაძის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 27 თებერვლის ბრძანების № 2189/კ საფუძველზე დიმიტრი სილაგაძე გაათავისუფლეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი, მაშინ, როდესაც რეალურად არ მომხდარა კადრების შემცირება, ამასთან, კადრების შემცირების შემთხვევაშიც კი არ იარსებებდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების აუცილებლობა, რადგან მისი ფუნქციების მქონე თანამდებობა კვლავაც არსებობს და მუდამ დასჭირდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიმიტრი სილაგაძის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული საფუძვლით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო.

საქმის მნიშვნელობა – გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშ-

ვნელოვნად დადებითად არ შეცვლილა. განსაკუთრებით, შშმ პირთა დასაქმების საკითხი კვლავ პრობლემურად რჩება. მოცემულ შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის ფაქტი მნიშვნელოვანი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს შემდგომი პრევენციისათვის.

შედეგი – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 27 თებერვლის ბრძანება № 2189/კ დიმიტრი სილაგაძის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის სპეციალისტის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, დიმიტრი სილაგაძე აღდგენილ იქნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა მოსარჩელის, დიმიტრი სილაგაძის სასარგებლოდ განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 27 თებერვლიდან საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ხოლო, სასარჩელო მოთხოვნები დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 10 მაისის განჩინების საფუძველზე უცვლელად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2.5. შ. უ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ (RG)

საქმის აღწერა - შ. უ. 2019 წლიდან დასაქმებული იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი დეკემბრის ბრძანებით, საკრებულოს აპარატში დაიწყო რეორგანიზაცია. საკრებულოს 2020 წლის 31 დეკემბრის წერილით, შ. უ.-თვის ცნობილი გახდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება და გაუქმდა ერთ-ერთი განყოფილება, რასაც მისი სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვა. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის ბრძანებით, შ. უ. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

შ. უ. მიიჩნევს, რომ ბრძანება მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის გამოცემამდე, არ გამოუკვლევია საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებები, კერძოდ, უზრუნველყოფდა თუ არა რეორგანიზაცია კანონით განსაზღვრულ სავალდებულო შემადგენლობას – სისტემურ, ეფექტიან მმართველობას, ან არსებობდა თუ არა რეორგანიზაციის აუცილებლობა, საჯარო ინტერესი. აქტი გამოიცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საკანონმდებლო დანაწესებზე ზოგადი, ფორმალური მითითებით.

რეორგანიზაციის შედეგად დაწესებულებაში შტატების შემცირების მოტივით სამსახურიდან გათავისუფლება, სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, ადასტურებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციას. კერძოდ, განმცხადებელს მიაჩნია, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული მოტივებით, იმ ფაქტის გამო, რომ ის მეგობრობს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოს მეუფე გიორგისთან, რომლის მიმართაც მარნეულის საკრებულოს ხელმძღვანელობას პირადი ინტერესები ამოძრავებს. კერძოდ, მარნეულისა და ჰუჯაბის

ეპისკოპოსი გიორგი ნარიმანოვი ძეგლის საკითხზე კრიტიკულ შეფასებებს აკეთებდა და საკრებულოსაგან ძეგლის აღებას ითხოვდა. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი ნარიმანოვის ძეგლის საკითხზე მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარეს კანონდარღვევაში ადანაშაულებდა. ეპისკოპოსის განცხადებით, საკრებულოს გადაეცა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ყარაიას და გარეჯის საძოვრების აზერბაიჯანზე მიკუთვნების დოკუმენტებში ნარიმან ნარიმანოვის ხელმოწერაა. მოსარჩელე იმყოფებოდა იმ პარაკლისზე, სადაც ეპისკოპოსი ამ პოზიციას აჟღერებდა. სწორედ ამ პარაკლისზე დასწრების შემდგომ დაიწყო მის მიმართ რეპრესიული მექანიზმების გამოყენება. კერძოდ, თავდაპირველად სრულიად უკანონოდ ჩამოაშორეს საკონკურსო კომისიას, საბოლოოდ კი რეორგანიზაციის მსხვერპლიც გახდა.

საქმის მნიშვნელობა – საქმე ეხება სავარაუდო რელიგიური შეხედულებების გამო საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, რომელიც რეორგანიზაციის სახელით განხორციელდა.

შედეგი – შ. უ.-მ სამართლებრივი დახმარების მიზნით მიმართა „უფლებები საქართველოს“, რომელმაც, საქმის შესწავლის მიზნით, 2021 წლის 19 თებერვალს მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, ხოლო ამავე წლის 24 თებერვალს, სარჩელი წარადგინა მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში.

2021 წლის აგვისტოში, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც დადგინდა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა უკანონოდ, ხოლო რეორგანიზაცია ჩატარდა კანონის მოთხოვნების დაუცველად. რაც შეეხება სასამართლო დავას, მარნეულის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, ბათილად ცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები – მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება და სამსახურში გათავისუფლების ბრძანებამდე საკრებულოს მიერ გამოცემული ოქმი, ეს ადმინისტრაციული აქტები მიიჩნია დაუსაბუთებლად და უკანონოდ. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც – განაცდურის ანაზღაურება, სამსახურში აღდგენა, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისგან მომდინარედ, 5 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება, ამ ეტაპზე თბილისის საააპელაციო სასამართლოში არის გასაჩივრებული.

2.5. ს.ბ. და სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი)

საქმის აღწერა – 2020 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრის ადვოკატირებით ს. ბ.-მ და სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სასულიერო სამმართველომ მნიშვნელოვანი დავა წამოიწყეს მარნეულის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ. საკითხი შეეხებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების იმ მუხლს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ეფუძნებოდა მუნიციპალიტეტის დისკრიმინაციული გადაწყვეტილება რელიგიური საქმიანობის დაფინანსებისთვის (რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო კოლოსალური თანხები მხოლოდ ერთი კონფესიისთვის – მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

ფინანსური მხარდაჭერის ხსენებული უთანასწორო პრაქტიკის შედეგად, მხოლოდ ბოლო ოთხი წლის მანძილზე მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას ჯამში 1 550 000 ლარი (2019 წელს - 350 000 ლარი; 2020 წელს - 400 000 ლარი; 2021 წელს - 400 000 ლარი; 2022 წელს - 400 000 ლარი) გადაეცა. რელიგიური საქმიანობის დაფინანსების ფარგლებში რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით დაფინანსების მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფა, მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობა არამართლმადიდებელია (მუსლიმი), არის დისკრიმინაციული. მარნეულის მუნიციპალიტეტის მხრიდან მართლმადიდებელი ეპარქია ჩაყენებული იყო აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში სხვა რელიგიებთან შედარებით. გასაჩივრებული აქტის მოქმედების შედეგად მარნეულის მუსლიმ და სხვა არამართლმადიდებელ მოსახლეობას, მუნიციპალიტეტი ამყოფებდა მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებთან შედარებით უთანასწორო და არაკეთილგანწყობილ მდგომარეობაში.

საქმის მნიშვნელობა – ნიშანდობლივია, რომ საქმე შეეხება მუნიციპალიტეტს, რომელიც მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მარნეულის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დგას თვითმმართველობაში მოსახლეობის თანაბრად მონაწილეობისა და ყველა განსხვავებული ჯგუფის თანაარსებობის უზრუნველყოფის ინტერესი, რომლის რეალიზებაც მუნიციპალიტეტის ორგანოთა ერთ-ერთ უპირველეს დანიშნულებას წარმოადგენს. ამდენად, ყველა მმართველობითი აქტი და ღონისძიება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივ ერთეულში არსებული ყველა განსხვავებული ინტერესის გათვალისწინებისა და მათ შორის ბალანსის მიღწევის შედეგი, რაც მოცემულ შემთხვევაში უხეშად იქნა დარღვეული. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საბიუჯეტო დაფინანსების მსგავსი პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის კონსტიტუციურ და ანტიდისკრიმინაციულ გაგებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მოთხოვნებს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს.

შედეგი – 2022 წლის 1 ივლისს ბოლნისის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხსენებული ნორმა და დაადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ პირდაპირი დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით.

2022 წლის 8 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დაჩქარებულ ვადაში, ერთ სხდომაში, შეაჯამა 3 წლის მანძილზე მიმდინარე მოცულობითი და კომპლექსური ადმინისტრაციული დავა, რომელიც ნორმატიული აქტის ბათილობას, რელიგიის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას და დისკრიმინაციული შედეგების აღმოფხვრას შეეხებოდა. სასამართლომ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების სრული და ობიექტური შესწავლის, ურთიერთშეჯერების გარეშე, სრულიად უსაფუძვლოდ გააუქმა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ უგულებელყო დავის მნიშვნელობა, კონტექსტი, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და კონსტიტუციური პრინციპები, არ გასჩენია არც ერთი კითხვა ადმინისტრაციული ორგანოსთან, არ შეუსწავლია სადავო გარემოებები და ფორმალურად მიუდგა საკითხს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ აშკარა იყო საქმის მომხსენებელი მოსამართლის მიკერძოებულობა და ნეგატიური დამოკიდებულება მოსარჩელეებისადმი, რაც სრულად ემყარებოდა მათ ეთნიკურ წარმომავლობას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც 2023 წლის აპრილში საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო. ველოდებით დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას.

3. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (WISG)

3.1. ქალი ფეხბურთელების მიმართ დისკრიმინაცია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო

საქმის აღწერა – განმცხადებელი ფეხბურთელი ქალი ერთ-ერთია იმ აპლიკანტთაგან, რომელმაც სახალხო დამცველს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო 2021 წელს მიმართა. სახალხო დამცველისთვის მიმართვის პარალელურად, ფეხბურთელი ქალების მდგომარეობა გამოსწორდა და ამის შესახებ სახალხო დამცველის რეკომენდაციაში აღინიშნა[1] . ამის მიუხედავად, ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა 2022 წლის იანვრიდან. აღმოჩნდა, რომ ქალი ფეხბურთელების მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობას და სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტებს აღარც სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებდა და არც მისი დამქირავებელი საფეხბურთო კლუბი. სანაცვლოდ, კლუბს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სამედიცინო დაწესებულებასთან, რომელსაც არ ჰყავს შესაბამისი სპეციალიზაციისა და კომპეტენციის ექიმები, რის გამოც, ვერ ხერხდებოდა ყველა ფეხბურთელის ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილება. განმცხადებელი უთითებდა, რომ არსებულ პირობებში, ვარჯიშისა და თამაშის გაგრძელებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი და შეუქცევადი ზიანი გამოიწვიოს მისი და სხვა ფეხბურთელების ჯანმრთელობისთვის.

საქმის მნიშვნელობა – სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა არა მხოლოდ განმცხადებლის ან მისი დამსაქმებელი კლუბის შემთხვევაში იკვეთება, არამედ პრობლემურია თითქმის ყველა ქალთა საფეხბურთო კლუბში დასაქმებული ქალებისთვის. ამავდროულად, სახალხო დამცველმა სხვა სპორტული კლუბების საკითხიც გამოიკვლია და დაადგინა, რომ იმავე პრობლემების წინაშე დგანან სხვა პროფესიონალი სპორტსმენი ქალებიც, მათ შორის ფრენბურთელი ქალები.

შედეგი – სახალხო დამცველმა 2023 წლის 15 მარტს ზოგადი წინადადებით[1] მიმართ როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ისე საქართველოს ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას და მოუწოდა, რომ გამოიკვლიონ ქალთა საფეხბურთო/ფრენბურთის ლიცენზირებული კლუბების/გუნდების მხრიდან მათთან დასაქმებული ფეხბურთელების/ფრენბურთელების ტრავმების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების კუთხით არსებული მდგომარეობა და ქალთა საფეხბურთო/ფრენბურთის ლიცენზირებული კლუბების/გუნდებისა და მათთან დასაქმებული ფეხბურთელების ჩართულო-

15. [1] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბრის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია აქ: https://ombudsman.ge/res/docs/2022010415440411433.pdf

16. [1] ხელმისაწვდომია აქ: https://www.ombudsman.ge/geo/skesi-genderi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelma-sportul-federatsiebs-sportshi-chartuli-kalebis-mimart-diskriminatsiis-tavidan-atsilebis-sakitkhze-zogadi-tsinadadebit-mimarta

ბით, შეიმუშაონ ვარჯიშის/თამაშის დროს ფეხბურთელთა/ფრენბურთელთა მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობის დაფინანსების ეფექტური მექანიზმი.

ეს საკითხი საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც აისახა: „საანგარიშო წელს, ქალთა საფეხბურთო კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელები კვლავ ვერ სარგებლობდნენ ჯანმრთელობის დაზღვევით და არ უნაზღაურდებოდათ მიღებული ტრავმების მკურნალობისთვის აუცილებელი პროცედურებისა და სამკურნალო მედიკამენტების ხარჯები, რაც მათი ჯანმრთელობისა და პროფესიული საქმიანობისთვის შეუქცევადი ზიანის გამოწვევის რისკებს წარმოშობს“[1] .

2023 წლის 1 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და სადაზღვევო კომპანია “პრაიმს” შორის პარტნიორობის ხელშეკრულება გაფორმდა. თანამშრომლობა ქალთა საფეხბურთო კლუბებში მოთამაშე 420 ფეხბურთელი ქალის სპორტულ სამედიცინო დაზღვევას მოიცავს[1] . შესაბამისად, შესრულდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და აღმოფხვრილია სისტემური პრობლემა.

3.2. ქალი ფეხბურთელების საქმე (PHR)

საქმის აღწერა – ფეხბურთელმა ქალებმა, 2020 წლის აგვისტოში სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართეს PHR-ს. მათი განცხადებით, ექვსი ათლეტი ქალი, მათ შორის სამი არასრულწლოვანი, ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის მწვრთნელის მხრიდან არაერთხელ გახდნენ დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლები, მათ შორის ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროებას და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

გუნდში შექმნილი მტრული და არაჯანსაღი გარემოს გამო, ქალი ფეხბურთელები იძულებული გახდნენ, დასაქმების ადგილი დაეტოვებინათ და სათამაშოდ სხვა კლუბში გადასულიყვნენ. მათ მიმართეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს, მათი მხრიდან კონტრაქტის შეწყვეტის კანონიერების დადგენის მოთხოვნით. კომიტეტმა მიიჩნია, რომ მწვრთნელმა ვერ შეძლო ფეხბურთელი ქალებისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რის გამოც გოგოების მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა კანონიერად მიიჩნია.

2020 წლის ოქტომბერში PHR-მა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოთხოვნით, დაედგინა ქალი ფეხბურთელების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, რაც გამოიხატებოდა სექსუალური შევიწროებასა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაში. ამასთან, ორგანიზაცია ითხოვდა მწვრთნელისა და კლუბის მიერ მორალური ზიანისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

კაცი მწვრთნელის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები გამოიხატა შემდეგ ქმედებებში: ის გოგოებს ავალებდა ისეთი ვარჯიშების შესრულებას, რომელსაც არ ჰქონდა სპორტული დანიშნულება და ჰქონდა სექსუალური შინაარსი, რაც გოგოებს დისკომფორტს და უხერხულ გარემოს უქმნიდა. ასევე, გაწელვითი ვარჯიშების შესრულების პარალელურად მწვრთნელი კაცი აკეთებდა სექსუალური შინაარსის

17. https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf გვ: 189
18. https://gff.ge/ge/media/news/25012?fbclid=IwAR13Dsej0rimaW8cQ_ig3lm4A_4GuUdYWl_igZP7YhWPeGkBc8_v82ZKkic

კომენტარებს, რაც გოგონებში იწვევდა უხერხულობის განცდას. ეს ვარჯიშები არაერთხელ გააპროტესტეს გოგოებმა, თუმცა მწვრთნელი არ წყვეტდა ქმედებებს და ხშირად დასცინოდა მათ და ამცირებდა. მწვრთნელი გოგონებს მიმართავდა შეურაცხმყოფელი კომენტარებითაც. აკეთებდა დისკრიმინაციული შინაარსის, მტრულ და დამამცირებელ მიმართვებს ეთნიკურად სომეხი ქალი ათლეტების მიმართ. მწვრთნელი კაცი უნებართვოდ შედიოდა გოგოების გასახდელში, მაშინ, როცა იცოდა – იქ ქალი ფეხბურთელები შესაძლოა შიშველ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ.

ფეხბურთელებმა არაერთხელ მიუთითეს მწვრთნელს, რომ მისი ქმედებები მიუღებელი იყო გოგოებისთვის. ამ ფონზე, გუნდში შეიქმნა მტრული, არასასურველი გარემო. მწვრთნელი ფეხბურთელებს არ აძლევდა განვითარების საშუალებას, არ უშვებდა საზღვარგარეთ საფეხბურთო შეკრებებზე. მან კლუბიდან რამდენჯერმე გააგდო მოთამაშე. ქალი ფეხბურთელები იძულებული გახდნენ, გუნდში არსებული მტრული გარემოს და მწვრთნელის მხრიდან სექსუალური და ეთნიკური ნიშნით შევიწროების გამო დაერღვიათ კონტრაქტი და დაეტოვებინათ საფეხბურთო კლუბი.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ესაა პირველი საქმე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში, როცა მოსამართლემ იმსჯელა ათლეტი ქალების (მათ შორის არასრულწლოვანის) მიმართ, მწვრთნელი მხრიდან, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე. საქმის პრეცედენტულობა ასევე მდგომარეობს, იმაში, რომ ეს იყო პირველი საქმე, როდესაც სასამართლომ ბავშვის მიმართ სექსუალური შევიწროების საქმე განიხილა. საქმის შესწავლისას გამოვლინდა, რომ არც ფეხბურთის ფედერაციისა და არც საფეხბურთო კლუბების დონეზე არ არის მიღებული და დანერგილი შევიწროების პრევენციის მექანიზმი. დაბალია ცნობიერება გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებების შესახებ. მწვრთნელები ვერ ასხვავებენ ერთმანეთისგან დისციპლინისა და ეთიკის წესებს.

შედეგი – 2022 წლის 18 თებერვალს, სასამართლომ მოსარჩელეთა ნაწილის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, კერძოდ – სექსუალური შევიწროების ფაქტები დაადგინა და მწვრთნელს მორალური ზიანის ანაზღაურება დაავალა. რამდენიმე მოსარჩელეს მიმართ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსხვერპლებმა სასამართლოს დაგვიანებით მიმართეს და შესაბამისად, მათი სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია. PHR-მა საქმე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

3.3. ს. ლ. სს „ლიბერთი ბანკის“ წინააღმდეგ (RG)

საქმის აღწერა – 2018 წლის 23 ოქტომბერს, მოსარჩელე ს.ლ. „ლიბერთი ბანკიდან“ გათავისუფლდა. მოსარჩელე განმარტავს, რომ 2018 წლის 23 ოქტომბერს, დაუსრულდა კანონით განსაზღვრული დეკრეტული შვებულება. სამსახურში გამოცხადების პირველივე დღეს, სერვის ცენტრის ხელმძღვანელმა მას განუმარტა, რომ ბანკში განხორციელდა რეორგანიზაცია და რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა მენეჯერის შტატი, რომელსაც მოსარჩელე დეკრეტულ შვებულებაში გასვლამდე იკავებდა.

დეკრეტული შვებულების მიმდინარეობისას მოსარჩელის გათავისუფლებით, დამსაქმებელმა კომპანიამ უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს შრომის კოდექსით დასაქმებულისთვის გარანტირებული უფლებები.

ს. ლ.-მ, 2018 წლის 22 ნოემბერს, „უფლებები საქართველოს“ მხარდაჭერით, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

საქმის მნიშვნელობა – დავა შეეხება ქალის სამსახურიდან გათავისუფლებას სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის გამო. არსებით გარემოებას წარმოადგენს, ის, რომ ს. ლ. გაათავისუფლეს დეკრეტული შვებულებიდან სამსახურში გამოცხადების პირველივე დღეს.

შედეგი - სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და „ლიბერთი ბანკს“ მოსარჩელის მიმართ 10 თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაევალა. სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტი არ დაადგინა, თუმცა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ „სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის, რომ მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო“. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, დისკრიმინაციულად და დამსაქმებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსარჩელის უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებას“.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა „ლიბერთი ბანკის“ მიერ. 2022 წლის 15 ნოემბერს, სააპელაციო სასამართლოში მხარეთა შეთანხმებით დამტკიცდა მორიგება. მორიგების შედეგად, სს „ლიბერთი ბანკმა“ მოსარჩელეს სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების საფუძვლით 6 000 ლარი გადაუხადა.

3.4. თ.კ. გორის #3 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა – 2022 წლის 9 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მომართა გორში მცხოვრებმა თ.კ.-მ. მისი განმარტებით 2019 წლიდან ასწავლის სპორტს გორის #3 საჯარო სკოლაში. 2022 წლის 6 ოქტომბერს, ქალბატონი სპორტის გაკვეთილს მე-7 გ კლასთან ატარებდა. ამ დროს სპორტდარბაზში შეიჭრა მეორე მასწავლებელი, რომელსაც იმ დროს არ ჰქონია გაკვეთილი. მამაკაცს არავითარი უფლება არ ჰქონდა გაკვეთილის მიმდინარეობისას შესულიყო დარბაზში და მით უმეტეს, შეეყვანა სხვა, მე-11 კლასის მოსწავლეები, რომლებსაც თვითონ არ ასწავლიდა. მამაკაცმა თ.კ.-ს მოსწავლეთა თვალწინ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, რამდენჯერმე უბიძგა ხელი და ძალის გამოყენებით შევიდა დარბაზში. აღნიშნულის შემდეგ, სსიპ გორის #3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2 ნოემბრის ბრძანებითა და სკოლის დისციპლინური კომიტეტის 31 ოქტომბრის სხდომის ოქმის საფუძველზე თ.კ.-ს დისციპლინური სახდელის სახით დაეკისრა სამსახურიდან გათავისუფლება და შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება.

საქმის მნიშვნელობა – #3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ ქალი მასწავლებლის სკოლიდან განთავისუფლების ფაქტი მაშინ, როცა სკოლის შინაგანაწესი მამაკაცმა მასწავლებელმა დაარღვია, შეიცავს სავარაუდოდ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევას. ასეთ საქმეებში დისკრიმინაციული მიდგომის დადასტურება; პირის სამუშაო ადგილზე აღდგენა და განაცდურის აღდგენა პრევენციულ ეფექტთან ერთად იწვევს საზოგადოებაში არსებული მიდგომის ცვლილებასა და ცნობიერების ამაღლებას.

შედეგი – სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, წარდგენილი იქნა სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში, მოთხოვნილ იქნა დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის, გათავისუფლების შესახებ ბრძანებისა და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის ბათილად ცნობა, თ.კ.-ს სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, გენდერის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება. ამჟამად საქმეს იხილავს გორის რაიონული სასამართლო.

3.5. თ.კ დამსაქმებლის „ფაქტორ გრუპის" და მისი დირექტორის- ე.ღ-ს წინააღმდეგ. (საფარი)

საქმის აღწერა: თ.კ 2021 წლის მარტის თვიდან დასაქმებული იყო შპს „ფაქტორ გრუპში" კონსულტანტის პოზიციაზე. თანამშრომლობის დაწყებიდან მალევე თ.კ „ფაქტორ გრუპი" -ს დირექტორის ე.ღ-ს მხრიდან არაერთხელ გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი. კერძოდ, ე.ღ, თ.კ-ს წერდა ინტიმური შინაარსი ტექსტებს, მიჰყავდა ის არარსებულ შეხვედრებზე, ცდილობდა მასთან განმარტოებას, ეპატიჟებოდა ბუნებაში და სასეირნოდ. მუდმივად ურეკავდა არასამუშაო დროს და მასთან სექსუალური ურთიერთობის დამყარების სანაცვლოდ ჰპირდებოდა სამსახურებრივ დაწინაურებას.

თ.კ-მ „საფარის" დახმარებით, 2022 წელს მიმართა სახალხო დამცველს, წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულებები და მოითხოვა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემა.

საქმის მნიშვნელობა – სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე უფლებადარღვევის ყველაზე გავრცელებული და დაფარული პრობლემაა. ყველაზე ხშირად შრომით სივრცეში სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ქალები ხდებიან და ისინი, როგორც წესი, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებას სამსახურის დატოვებას ამჯობინებენ. შესაბამისად, კანონმდებლობის დახვეწის პარალელურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სექსუალური შევიწროების პრევენციას სამუშაო ადგილზე და მასზე რეაგირების მექანიზმების გაძლიერებას თავად ორგანიზაციებში, რასაც ხელს უწყობს სახალხო დამცველის მიერ თ.კ-ს მსგავსი საქმეების განხილვა და რეკომენდაციების გამოცემა კერძო ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების მიმართ.

შედეგი – სახალხო დამცველმა დაადგინა სექსუალური შევიწროების ფაქტი და გასცა ე.ღ-ს მიმართ რეკომენდაცია, მათ შორის, ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაცია პრევენციის მიზნით, შეიმუშაოს შიდაორგანიზაციული დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის გასაჩივრებისა და შესწავლის პროცედურები.

3.6. ა.ბ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საფარი)

საქმის აღწერა – ა.ბ მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში. მისი ინფორმაციით 2022 წლამდე ჯგუფს, რომლის წევრიც თავად იყო, არ ჰყავდა ოფიციალური ხელმძღვანელი, ამიტომ ჯგუფის წევრებიდან ერთ-ერთს ფარული კენჭისყრის საშუალებით ირჩევდა ჯგუფი და

ის არაოფიციალურად ასრულებდა მენეჯერის მოვალეობას. ამ გზით სხვადასხვა დროს ჯგუფიდან არჩეულ იქნა 2 ადამიანი, მ.მ და ნ.კ. ამ ორ ადამიანთან მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად. მოგვიანებით სამსახურის მეთაურმა, სექსუალური შევიწროების ფაქტების დაწყებამდე დაახლოებით 6 თვით ადრე, სამსახურში აიყვანა სამოქალაქო პირი დ.ძ, რომელიც დაინიშნა ჯგუფის მენეჯერის პოზიციაზე.

2022 წელის ნოემბერში დაიწყო ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2022 წლის აპრილიდან 6 თვით ჯგუფის წევრებს უწევდათ თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ბაზაზე გადასვლა მივლინებით. მითითებულ ბაზაზე ჯგუფის წევრ ქალებს - ა.ბ-ს და სხვებს არ გამოუყვეს ცალკე საცხოვრებელი სივრცე, რის გამოც მათ უწევდათ ძილი საოფისე სივრცეში, სადაც იდგა კომპიუტერები და კაცები გვიანობამდე რჩებოდნენ. სამუშაო მაგიდები და ქალებისთვის საცხოვრებლად/დასაძინებლად გამოყოფილი სივრცე ერთმანეთისგან გაიმიჯნა კარადების დახმარებით, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ეს იყო ა.ბ.-სთვის და სხვა ქალებისთვის დიდი დისკომფორტი. ა.ბ-მ მის უშუალო ხელმძღვანელს პირს, დ.ძ-ს არაერთხელ მიმართა დახმარების თხოვნით თავდაცვის სამინისტროს ხსენებულ ბაზაზე ქალებისთვის ცალკე საცხოვრებელი სივრცის გამოსაყოფად, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია, რომ იგივე თანამდებობაზე დასაქმებულ კაცებს ქალებისგან განსხვავებით ჰქონდათ გამოყოფილი საცხოვრებელი სივრცე, რაც მიუთითებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე.

ა.ბ-ს ინფორმაციით ჯგუფის მენეჯერი დ.ძ ქალებს სისტემატურად მიმართავდა სექსუალური ხასიათის შენიშვნებისა და შეკითხვის ფორმით. ასევე მათ მოიხსენიებდა დამამცირებელი, ღირსების შემლახავი შინაარსის შემცველი სახელებით. რაც ქმნიდა ა.ბ.-ის და სხვა ქალების მიმართ მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ გარემოს.

ვერბალური ხასიათის სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მიზნით, ინსპექტირებისა და სამსახურებრივი შემოწმების მოთხოვნით, ა.ბ.-მ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციას.

საქმის მნიშვნელობა –- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ პირველად დაადგინა შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირის მიმართ, ვერბალური ხასიათის სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი, რის საფუძველზეც ასევე ხელშეკრულებით დასაქმებული, შევიწროებაში დადანაშაულებული პირი სამსახურიდან გათავისუფლდა. ფაქტი იმ იშვიათ შემთხვევებს შორისაა, რომელზეც დაუყოვნებლივ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

შედეგი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით ინსპექტირებისა და სამსახურებრივი შემოწმების მთავარმა სამმართველომ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება და დაადგინა, რომ დ.ძ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა დაქვემდებარებულ ქალ თანამშრომელთა მიმართ ვერბალური ხასიათის სექსუალურ შევიწროებასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2022 წლის 20 სექტემბრის დასკვნით, თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურს მიეცა რეკომენდაცია, დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, დ.ძ-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომელიც მალევე აღსრულდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თავდაცვის სამინისტროს გენერალური

ინსპექციის მხრიდან შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის გამოვლენისა და პრევენ-ციის ეფექტიანობის შესწავლის მიზნით, მოთხოვნის შესაბამისად, დაიწყო საქმეზე ზედამხედველობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გენერალური ინსპექ-ციიდან გამოითხოვა საქმესთან დაკავშირებული მთელი რიგი ინფორმაცია. აგრეთვე, გე-ნერალური ინსპექციის დასკვნის გამოცემის შემდგომ, სახალხო დამცველმა გვეცნობა, რომ აპარატი თვალყურს მიადევნებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერა-ლური ინსპექციის 2022 წლის 20 სექტემბრის დასკვნის აღსრულების საკითხს.

3.7. X. Y (მსხვერპლის იდენტიფიცირების საფრთხის გამო, ინიციალები გამოგონილია) "CD Company"-ს წინააღმდეგ. (საფარი)

საქმის აღწერა - X.Y რომელიც დასაქმებული იყო "CD Company"-ში, დისკრიმინაციული და ღირსებისშემლახავი მოპყრობის გამო იძულებული გახდა სამსახურიდან წამო-სულიყო, რის შემდეგაც დახმარების თხოვნით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარს".

დასაქმების ადგილზე ქალს სექსუალურად ავიწროებდა კომპანიის ხელმძღვანელი მამაკაცი, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: არასასურველი სექსუალური ხასიათის მიმოწერა, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა მტრული, შეურაცხმყოფელი და ღირსე-ბის შემლახავი გარემო; არასასურველი შინაარსის კითხვები, შენიშვნები და კომენტარები. დასაქმების პირველ ეტაპზე, ქალი ვარაუდობდა, რომ ამის მიზეზი ახა-ლი თანამშრომლის დაინტერესება იყო, თუმცა თანდათან კაცის ქცევამ უფრო ინტენ-სიური ხასიათი მიიღო, გაგრძელდა სხვადასხვა სოციალურ ქსელში, არასამუშაო დროს და x.y-ს დისკომფორტი შეუქმნა. X.Y -მა კაცს არაერთხელ და მკაფიოდ მიუთითა, რომ მასთან ამ ტიპის კომუნიკაცია არ სურდა (ამას ადასტურებს ქალის მიერ წარმოდგენი-ლი მტკიცებულებები – მათი მიმოწერის ამსახველი სქრინშოთები). ამის მიუხედავად, კაცი აგრძელებდა მისთვის კითხვების დასმას პირად ცხოვრებაზე, უზიარებდა აზრებს სხვადასხვა სოციალურ ქსელში ატვირთულ ქალის ფოტოებზე, სწერდა სექსუალური ში-ნაარსის ხუმრობებს. X.Y იძულებული გახდა, კაცი ყველა სოციალურ ქსელში დაებლოკა, რამაც მისი გაღიზიანება გამოიწვია. გარდა ამისა, X.Y -ის თქმით, ყველა ჯერზე, როცა მის უშუალო უფროსთან სამსახურებრივ საკითხზე უწევდა კომუნიკაცია, ეშინოდა შეტ-ყობინების გაგზავნის, რადგან იცოდა, რომ ამას არასამსახურებრივ თემებზე მიმოწერა მოჰყვებოდა. მისივე თქმით, იყო შემთხვევა, როცა ნერვიულობის ნიადაგზე ალერგიუ-ლი რეაქცია, ე.წ. ჭინჭრის ციება განუვითარდა..

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების ანალიზმა ცხადყო, რომ მო-პასუხის (დამსაქმებლის) მხრიდან ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროებას, რაც გა-მოიხატა არასასურველ, სექსუალური ხასიათის მიმოწერაში.

მითითებულ საქმეზე სექსუალური შევიწროების დადგენის მიზნით 2022 წლის მარტში X.Y -მა მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და მოითხოვა გენდერის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და რეკომენდაციის გამოცემა.

საქმის მნიშვნელობა - X.Y- ის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველ, სექსუალური ხასიათის მიმოწერაში. ამ შემთხვევაში, გარდა ღირსების შელახვისა და დამცირებისა, იგი უარყოფითად აისახა ქალის კარიერულ წინსვლაზე.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების ანალიზის შედეგად სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა სექსუალური შევიწროების სახე – მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo).

შედეგი – საქართველოს სახალხო დამცველმა შპს CD Company-ში დასაქმებული ქალის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა და 2022 წლის 5 ივლისს რეკომენდაციით მიმართა კომპანიის დირექტორს და მოუწოდა, მომავალში არ განახორციელოს დასაქმებულთა სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას თანამშრომლებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შემლახავი გარემო. ასევე, სახალხო დამცველმა კომპანიის ხელმძღვანელს მოუწოდა, სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შეიმუშაოს შიდაორგანიზაციული დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის გასაჩივრებისა და შესწავლის პროცედურები.

დამატებით, სახალხო დამცველის აპარატმა რეკომენდაციით მიმართა შრომის ინსპექციის სამსახურს და მოითხოვა CD Company-ში ინსპექტირების ჩატარება იქ დასაქმებულთა შრომითი უფლებების შესწავლის მიზნით .

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის შემდეგ X.Y-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და სექსუალური შევიწროებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ საქმე გადასცა სასამართლო მედიაციას და შეჩერდა საქმის წარმოება.

3.8. ე.გ ა(ა)იპ უსინათლოთა კავშირის მე-3 ფილიალის ხელმძღვანელის - ი.ჩ-ის წინააღმდეგ. (საფარი)

საქმის აღწერა - 2022 წლის 16 ივლისს ე.გ-მ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ დახურულ ჯგუფში - „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებებისთვის“ გამოაქვეყნა პოსტი, რომელიც შეეხებოდა უსინათლოთა კავშირში მოშიმშილეთა პროტესტის კონკრეტულ დეტალებს, რასაც მოჰყვა ა(ა)იპ „უსინათლოთა კავშირის“ თბილისის მე-3 ფილიალის თავმჯდომარის ი.ჩ-ის გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი კომენტარი ე.გ-ს მიმართ.

ე.გ.-მ მიმართა ა(ა)იპ უსინათლოთა კავშირს და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საპასუხოდ შიდა ორგანიზაციული მექანიზმების ამუშავება მოითხოვა; განმცხადებელს ეცნობა, რომ უსინათლოთა კავშირი არ იღებს პასუხისმგებლობას ერთი წევრის მხრიდან მეორე წევრის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული კომენტარის გამო.

ე.გ-მ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და მოითხოვა მის მიმართ გენდერის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემა.

საქმის მნიშვნელობა – ცალკეულ შემთხვევებში, შეურაცხმყოფელი კომენტარები შესაძლოა გადაიზარდოს შევიწროებასა და დისკრიმინაციაში, შესაბამისად აუცილებელია ყველა ორგანიზაციას ჰქონდეს შიდაორგანიზაციული დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის გასაჩივრებისა და შესწავლის პროცედურები, რაც მოცემული ეტაპისათვის ა(ა)იპ უსინათლოთა კავშირს არ

გააჩნია. ამასთან განმცხადებლის მიზანი იყო ა(ა)იპ უსინათლოთა კავშირს დაეჩქარებინა ეთიკის კოდექსის შემუშავების პროცესი, რომელიც წევრებისთვის იმის ნიშანი იქნებოდა, რომ შეურაცხმყოფელი/არაეთიკური/დისკრიმინაციული კომენტარები ან/და გამონათქვამები არ დაიშვება და სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩება.

შედეგი – სახალხო დამცველმა საქმის შესწავლის შედეგად დისკრიმინაციის ან/და დისკრიმინაციის წახალისების ფაქტი არ დაადგინა და შეწყვიტა საქმის წარმოება. ე.გ-მ სამართლებრივი ბრძოლა 2023 წლის აპრილის თვიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გააგრძელა.

4. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით -

4.1. დავით ხუხუა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ

საქმის აღწერა – 2016 წლის 15 ივნისს, მოქალაქე დავით ხუხუა მის მეგობრებთან ერთად მიემგზავრებოდა თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით. დავით ხუხუა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია და გადაადგილებისთვის იყენებს ეტლს, რომელსაც მგზავრობისას ინახავდა ავტომობილის უკანა საბარგულში. ავტომობილის გაუმართაობის გამო დავით ხუხუას და მის თანმხლებ პირებს მოუწიათ გაჩერება. მალევე მათ მიუახლოვდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პოლიციის ინსპექტორებს სურდათ ავტომობილის მძღოლის დაჯარიმება. მძღოლი მათ უწევდა წინააღმდეგობას, რამაც გააჭიანურა პროცესი. მთელი ამ დროის განმავლობაში დავით ხუხუა პატრულ-ინსპექტორებს და მის მეგობრებს სთხოვდა ეტლის საბარგულიდან გადმოტანაში დახმარებას, რადგან ფიზიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილება ესაჭიროებოდა. პატრულ-ინსპექტორებმა დავითს არ გაუწიეს ზემოხსენებული დახმარება და არც მის თანმხლებ პირებს მისცეს ეტლის საბარგულიდან გადმოღების შესაძლებლობა, იმ ფონზე, რომ დავითის გარდა ყველა სხვა მგზავრს ჰქონდა შესაძლებლობა გადმოსულიყვნენ ავტომობილიდან. დავით ხუხუამ გამოიძახა რამდენიმე ეკიპაჟი, თუმცა მათი მხრიდან ეფექტურ რეაგირებას ადგილი არ ჰქონია.

დავით ხუხუა იმყოფებოდა მანქანაში და უწევდა შარდის შეკავება. ამის გამო მას დაეწყო სპაზმი, რაც იწვევდა ძლიერ ტკივილებს. საბოლოოდ, იძულებული გახდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა ავტომანქანაში – საჯარო სივრცეში, სხვების თანდასწრებით. ამის შემდეგ, მას რამდენიმე საათი მოუწია ამ მდგომარეობაში მანქანაში დარჩენა. ყოველივე აღნიშნულმა გამოიწვია დავით ხუხუას ღირსების შელახვა, ჯანმრთელობის დაზიანება (ნაწოლის გაღიზიანება), თავისუფლების უკანონო შეზღუდვა – შეზღუდული შესაძლებლობის გამო დისკრიმინაციული ნიშნით.

PHR-მა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში დისკრიმინაციის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღსანიშნავია რომ საქმის განხილვა პირველ ინსტანციაში დროში გაჭიანურდა და განიხილებოდა 5 წლის განმავლობაში.

საქმის მნიშვნელობა - გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება იცავს ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ღირსებას, ამავე დროს, იგი პრევენციული ღონისძიებაა,

რათა მომავალში სამართალდამცავები შშმ პირებს აღარ მოეპყრონ დისკრიმინაციულად და არ შეულახონ ღირსება. საქმემ ნათელი გახადა, რომ სამართალდამცავებს არ აქვთ საკმარისი მომზადება შშმ პირთა უფლებებისა და საჭიროებების სფეროში. აუცილებელია ერთიანი პოლიტიკის შექმნა, რომელსაც განუხრელად დაიცავს ყველა პოლიციელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან.

შედეგი – მას შემდეგ, რაც დავით ხუხუა დაუკავშირდა PHR-ს, მათ მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველს, რომელმაც ზემოთხსენებულ საქმეზე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა.

PHR-მა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში დისკრიმინაციის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. პირველი ინსტანციის სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეში დარღვევა ვერ დაინახა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სახალხო დამცველის გადაწყვეტილება დისკრიმინაციის თაობაზე. გადაწყვეტილება PHR-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2022 წლის 20 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რითაც დაადგინა დავით ხუხუას მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან. დისკრიმინაციის ფაქტის გამო მოპასუხეებს დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურება.

4.2. შეზღუდული შესაძლებლობის გამო მცირეწლოვნის მიმართ ჩადენილი დისკრიმინაციული მოპყრობა - GYLA

საქმის აღწერა – 2019 წლის სექტემბრიდან 2021 წლის აგვისტომდე ნ.ნ (ინიციალები შეცვლილია) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიზნით დადიოდა საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღში სიარულის დროს ნ.ნ-ს დისკრიმინაციულად ეპყრობოდნენ (თანასწორთა შორის უთანასწორო მოპყრობა). ეს გამოიხატებოდა თუნდაც იმაში, რომ როდესაც ნ.ნ ყველა სხვა ჯგუფელი დაკავებული იყო სპორტული აქტივობებით და ერთობოდა მზიან დღეებში საბავშვო ბაღის მიერ მოწყობილ აუზში, ნ.ნ მარტო იყო აღმზრდელთან და ერთ თანაჯგუფელთან ერთად. ამის შესახებ ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა გაიგო სრულიად შემთხვევით სოციალური ქსელის მეშვეობით, როცა საბავშვო ბაღის გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათები, სადაც ნ.ნ-ს გარდა მისი ყველა ჯგუფელი მხიარულად ეწეოდა სპორტულ-გასართობ აქტივობას საბავშვო ბაღის ეზოში. როდესაც არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა მიმართა საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებსა და ადმინისტრაციას კითხვით, თუ რატომ არ იყო ნ.ნ მის თანაჯგუფელებთან ერთად ჩართული სპორტულ აქტივობებში, პასუხად მიიღო ის, რომ მისი შვილი ვერ შეძლებდა სხვა თანაჯგუფელებთან ერთად გართობას, რადგან მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა, მაგრამ გაურკვეველია, თუ რა სახის განსაკუთრებულ ყურადღებაზე იყო საუბარი მათი მხრიდან.

საქმის მნიშვნელობა – საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ეხება მცირეწლოვნის მიმართ ჩადენილ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც დაკავშირებულია მის მდგომარეობასთან.

შედეგი – 2022 წელს სახალხო დამცველმა საქმესთან დაკავშირებით წარადგინა მოსაზრება. მოსაზრების თანახმად, "მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღება გაა-

მახვილოს მოსარჩელე მხარის მიერ დასახელებულ მთელ რიგ გარემოებებზე, სადაც ნ.ნ-ს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების უფლების შეზღუდვაზე უთითებს. მათ შორის, მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეაფასოს ბაღის წარმომადგენლების ქცევა განპირობებული იყო თუ არა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობითა და ეთნიკური კუთვნილებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საკმარისად ჩათვლის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგენილად მიიჩნევს, უფლებით სარგებლობის შეზღუდვისა და სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს, მოპასუხე მხარეზე უნდა გადავიდეს მტკიცების ტვირთი, რომ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა მისთვის დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეს წარმოადგენდა. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს საქმის განხილვა, დავასრულეთ მოსამზადებელი სხდომა და გადავედით მთავარ სხდომაზე.

5. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია

5.1. თ.ბ. სს „იავნანას“ წინააღმდეგ (HRC)

საქმის აღწერა – 2021 წლის 1 ივნისს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისს მომართა გორში მცხოვრებმა თ.ბ-მ. მისი განმარტებით წლებია მუშაობდა სს „იავნანაში“, მისი ხელფასი შეადგენდა 640 ლარს (ხელზე ასაღები). 2019 წლიდან ორგანიზაციაში დაიწყო გაურკვეველი ცვლილებები, რასაც მოჰყვა თანამშრომლების ეტაპობრივი გათავისუფლება. 2021 წლის 1 აპრილს თიბისის საბანკო ანგარიშზე ხელფასის სახით ჩაერიცხა 320 ლარი, რაც შეადგენდა მისი ხელფასის ნახევარს. თ.ბ.-მ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ცალმხრივად შეცვალა ხელშეკრულების პირობები. მან განცხადებით მიმართა დამსაქმებელს და მოითხოვა წერილობითი განმარტება ხელფასის შემცირების თაობაზე. 31 მაისს საავადმყოფოს დირექტორმა ის და მისი რამდენიმე თანამშრომელი დაიბარა საკუთარ სამუშაო კაბინეტში და ზეპირსიტყვიერად გამოუცხადა, რომ მომდევნო დღიდან წყდებოდა შრომითი ხელშეკრულება მათთან, არ გადაუცია ბრძანება და არც გათავისუფლების საფუძვლები განუმარტავს, გარდა იმისა, რომ რეორგანიზაციის შედეგად მოხდა მათი გათავისუფლება. წარდგენილი იქნა სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. ასევე მოთხოვნილი იყო ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და შესაბამისი კომპენსაციის ანაზღაურება. მადისკრიმინირებელ გარემოებას იყო ის ფაქტი, რომ თ.ბ.-ს პოზიციას შეუცვალეს სახელწოდება და მის ადგილზე დანიშნეს ახალგაზრდა თანამშრომელი. ასევე, დამსაქმებლისაგან გამოთხოვილი ინფორმაცია მიუთითებდა დამსაქმებლის მიდრეკილებას გაეთავისუფლებინა ასაკით უფროსი თანამშრომლები და მიეღო ახალგაზრდა დასაქმებულები მათ პოზიციებზე.

საქმის მნიშვნელობა – ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომით სამსახურიდან განთავისუფლების დადგენა სამართლებრივი თვალსაზრისით რთული სამტკიცებელია, ამის მიუხედავად, მსგავსი საქმეების სიმრავლე მეტყველებს, რომ სისტემურ ცვლილებებს საჭიროებს დამსაქმებლების მიდგომა დასაქმებულებთან მიმართებაში.

შედეგი – პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა. ბაჟის ოდენობიდან გამომდინარე, დასაქმებულმა ამ ნაწილში დავა ვეღარ გააგრძელა ზემდგომ ინსტანციაში. ამჟამად, მზადდება საკასაციო საჩივარი, თუმცა მხოლოდ შრომითი დავის ნაწილში (კომპენსაციის ოდენობა).

6. ეროვნული/ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაცია

6.1. ა.ბ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი)

საქმის აღწერა: 2022 წლის 26 აპრილს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, ლონდონის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დოქტორანტი ა. ბ. საქართველოში არ შემოუშვეს.

ა.ბ. დაიბადა თეირანში, ბავშვობიდან ოჯახთან ერთად წლების მანძილზე ცხოვრობდა ლონდონში. 2022 წელს ა.ბ. პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გეგმავდა კვლევით საქმიანობის დაწყებას ქართული ხალიჩებისა და ტრადიციული ქსოვილების შესახებ.

2022 წლის 26 აპრილს სამინისტრომ ყოველგვარი დამატებითი კითხვების გარეშე შემოუშვა ა. ბ.-სთან ერთად მყოფი მის მეუღლე, რომელიც ბრიტანული წარმოშობის, ასევე ანთროპოლოგი და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა. რაც შეეხება ა.ბ.-ს, მას საათების განმავლობაში ამოწმებდნენ, უსვამდნენ კითხვებს, დასცინოდნენ, უხეშად პასუხობდნენ, არ მისცეს მეუღლესთან ერთად ყოფნის, საელჩოსთან კომუნიკაციის შესაძლებლობა და კონკრეტული განმარტებების გარეშე უარი უთხრეს ქვეყანაში შემოსვლაზე. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ა.ბ. ქვეყანაში არ შემოუშვეს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ირანში დაიბადა და მას ირანული სახელი და გვარი ჰქონდა, რაც ეროვნული კუთვნილების ნიშნით მისი დისკრიმინაციას გულისხმობს.

ნიშანდობლივია, რომ შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებაში მითითებული იყო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც უცხოელს შემოსვლაზე უარი შეიძლება ითქვას კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ხსენებულ ქვეპუნქტს დეპარტამენტი სისტემატურად იყენებს, როგორც ქვეყანაში შემოშვებაზე უარის თქმის დამოუკიდებელ საფუძველს, რომელიმე სხვა საკანონმდებლო აქტზე მიუთითებლად, მიუხედავად იმისა, რომ ნორმას არ გააჩნია იმგვარი ინტერპრეტაციის რესურსი, რომ სახელმწიფოს მიანიჭოს ფართო დისკრეცია ყოველგვარი ნორმის, მატერიალური საფუძვლების გარეშე გადაწყვიტოს, რამდენად „სურს“ კონკრეტული პირის შემოსვლა ქვეყნის ტერიტორიაზე.

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2022 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება ა. ბ.-მ გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამინისტროს საჩივართან ერთად წარედგინა ა.ბ.-ს საქართველოში ვიზიტის, პროფესიული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საჩივრის განხილვის ეტაპზე როგორც ქართველი პროფესორები, ისე საერთაშორისო აკადემიური საზოგადოება მხარს უჭერდა ა.ბ.-ს და ითხოვდა მის ქვეყანაში შემოშვებას. სამინისტრომ არც ერთი ხსენებული გარემოება არ გაითვალისწინა და 2022 წლის 18 მაისის ადმინისტრაციული საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საქმის მნიშვნელობა: სამინისტროს მიდგომა დისკრიმინაციულია, არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების უსაფრთხოებას. ამ ინციდენტის გამო ლონდონის უნივერ-

სიტეტი მიიჩნევს, რომ ა.ბ-სთვის საქართველო უსაფრთხო ადგილი აღარ არის. სამწუხაროდ, მას ხელი შეეშალა კონკრეტული სამეცნიერო საქმიანობისას და საგრძნობლად შემცირდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებიც.

მნიშვნელოვანია, ამ საქმეზე განხორციელდეს ეფექტიანი მართლმსაჯულება და სასამართლო კონტროლის გზით შეიცვალოს დისკრიმინაციული, დაუსაბუთებელი, უცხოელთა უფლების შემლახველი მრავალწლიანი მანკიერი პრაქტიკა. კერძოდ, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებული საქმეები მოიცავს არაერთ მსგავს შემთხვევას, როდესაც უცხოელებს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვათ რეალური მიზეზების და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე. მსგავს გადაწყვეტილებებში არ მოიპოვება კონკრეტული დასაბუთება. საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად სახელმწიფო უწყება მივიდა თუ არა დასკვნამდე, რომ უცხოელისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარი დასაბუთებულ, არსებით მიზეზებს ეფუძნება, რაც მისი კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებში ჩარევას გაამართლებდა.

უცხოელთა საქართველოში შემოსვლის გადაწყვეტილებების ანალიზმა აჩვენა, რომ უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებები კანონმდებლობის ვიწრო და ადამიანის ძირითადი უფლებებისგან იზოლირებულად განმარტების, დისკრეციული უფლებამოსილების თვითნებობად გადაქცევის და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების გზით, ამკვიდრებენ უცხოელთა უფლებების შემლახველ უმეტესწილად დისკრიმინაციულ პრაქტიკას.

შედეგი – სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენლობით, ა.ბ.-მ 2022 წლის ივნისში სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა მისი საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების გაუქმება და დისკრიმინაციის დადგენა ეროვნების ნიშნით. საქმეს დღემდე განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

7. ინტერსექციური დისრიმინაცია

7.1. მ.დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ (საფარი)

საქმის აღწერა: საქმე ეხება პოლიციელების მხრიდან გაუპატიურების მსხვერპლი უცხოელი ქალის, მ.დ.-ს მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას. კერძოდ, მ.დ. 2021 წლის 25 ივლისს პირველად მივიდა პოლიციაში, რათა განეცხადებინა მისი გაუპატიურების შესახებ და სამართალდამცავი ორგანოსგან მიეღო დახმარება. თუმცა, პოლიციაში როგორც პირველი, ისე შემდგომი ვიზიტების დროს, ის დაექვემდებარა შემდგომ რეტრავმატიზაციას გამოკითხვაში მონაწილე პირების მხრიდან, რამაც სამართალდამცავი უწყებისადმი მას ყოველგვარი ნდობის დაუკარგა. სექსუალური ძალადობის დანაშაულებში გენდერული მგრძნობელობისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობის მქონე სამართალდამცავებმა უარი განაცხადეს მის მსხვერპლად აღიარებაზე და უპატივცემულოდ, არაპროფესიონალურად და დისკრიმინაციულად მოექცნენ. პოლიციელთა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება გამოიხატა შემდეგში:

25 ივლისს დანაშაულის შესახებ შეტყობინების პირველი მცდელობის დროს, მ.დ-ს არ მიეცა წვდომა მის საჭიროებებზე მორგებულ და განცალკევებულ გარემოზე. კერძოდ,

ვინაიდან მ.დ-მა არ იგრძნო თავი კომფორტულად, რომ მამაკაც პოლიციელთან განეხილა მისი გაუპატიურების საკითხი, მან მოითხოვა საუბარი ქალ პოლიციელთან. მიუხედავად იმისა, რომ მ.დ-მა დაინახა რამდენიმე ქალი პოლიციელი, რომლებიც იმ მომენტში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ შენობაში, იგი მაინც მამაკაცმა პოლიციელმა აიყვანა ზედა სართულზე და გამოკითხა. ამ დროს ისინი გარშემორტყმული იყვნენ სხვა მამაკაცი პოლიციელებით. მ.დ-მა დაიწყო მოვლენების მოყოლა და პოლიციის ოფიცერმა თარჯიმანი გამოიძახა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ უჭირდა იმის გაგება, თუ რატომ ახსენებდა მ.დ. გაუპატიურებას.

თარჯიმნის მოსვლამდე, მსხვერპლის გამოკითხვას შეუერთდა კიდევ ერთი მამაკაცი პოლიციელი, დროთა განმავლობაში კი – რამდენიმე სხვა. ამ ორმა პოლიციელმა მ.დ-ის დამცირება დაიწყო არაპროფესიონალური, უპატივცემულო და ზედმეტად ფამილიარული ქცევით. მათ სთხოვეს მ.დ-ს ეჩვენებინა თავისი Tinder-ის პროფილი, გადახედეს მის სურათებს და დასცინეს იმის გამო, რომ Tinder-ზე განთავსებულ ფოტოებში უფრო უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. ისინი ერთმანეთში საუბრობდნენ ქართულად და ხითხითებდნენ, თუმცა მ.დ-ს კომუნიკაციის შინაარსი არ ესმოდა ენის ბარიერის გამო.

გარდა ამისა, როგორც მ.დ.-ს, ისე მის მეგობარ მოწმეს უსვამდნენ ძალიან პირადულ, არარელევანტურ და გამკიცხავი კონოტაციის კითხვებს, როგორიცაა: დალია თუ არა ჭაჭა, ჰყავდა თუ არა შეყვარებული, დადის თუ არა კლუბებში, მოსწონს თუ არა ელექტრონული მუსიკა, რატომ დადიოდა მ.დ. ფსიქოლოგთან, რატომ წაიყვანა მის მიერ დასახელებული პირი სახლში, ხომ არ უჩიოდა მამაკაცს იმიტომ, რომ იყო უბრალოდ გაბრაზებული, ა.შ. ეს კითხვები გამომდინარეობდა პოლიციელთა სტერეოტიპული წარმოდგენებიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებით და ემსახურებოდა მ.დ.-ს სანდოობის შემოწმებას.

მოპასუხის წარმომადგენლებმა, არ მიიჩნიეს რა მ.დ. რეალურ მსხვერპლად, მას შესთავაზეს დავის ალტერნატიული გზით მოგვარება, კერძოდ, დამნაშავესთან შერიგების ან მისი დაშინების მეშვეობით. ამასთან, მ.დ.-ს, მისი დაჟინებული მოთხოვნის და არაერთი მცდელობის მიუხედავად, არ მიეცა ზეპირი გასაუბრების ოქმში სიტყვა გაუპატიურების დაფიქსირების შესაძლებლობა პოლიციელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გამო. მას უხსნიდნენ, რომ მის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები არ იყო გაუპატიურება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, რამდენადაც მ.დ. ნათლად აღწერდა უმწეო მდგომარეობაში ჩადენილ გაუპატიურების ინციდენტს. მას ასევე უმარტავდნენ, რომ არ იყო სიტყვა გაუპატიურების დაფიქსირება მიზანშეწონილი, რამდენადაც თუკი შემდგომში გაუპატიურების ფაქტი არ დადასტურდებოდა, მას თავად დაემუქრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდამცავმა ორგანომ ვერ შეძლო მ.დ-ის, როგორც გაუპატიურების მსხვერპლის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარანტიების სათანადოდ უზრუნველყოფა. პოლიციის ამგვარი უმოქმედობა წარმოადგენს არა უბრალოდ პროცედურულ შეცდომას, არამედ სამსახურებრივი ვალდებულებების მიზანმიმართულ უგულებელყოფას, რაც განპირობებულია დისკრიმინაციული მოტივებით. შესაბამისად, 2022 წლის 25 ივლისს, საფარის ადვოკატებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მ.დ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ინტერსექციურ დისკრიმინაციას, რამდენადაც მოსარჩელე დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას პოლიციელების მხრიდან გამომდინარე იქიდან, რომ მსხვერპლი ერთდროულად არის ქალი, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და, თანაც, უცხოელი. ინტერსექციური დისკრიმინაცია სიახლეა ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის, ინტერსექციურ დისკრიმინაციაზე ინფორმირებულობა არის მწირი, პრაქტიკა კი – არარსებული. ამასთან, ეს საქმე იმ სისტემური პრობლემების ილუსტრაციაა, რომლებსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები საქართველოში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ძიებისას აწყდებიან. კერძოდ, მ.დ-ის საქმეში პოლიციელების არასერიოზული დამოკიდებულება და მათი უმოქმედობა საქართველოში სექსუალური ხასიათის დანაშაულების მსხვერპლთა მიმართ ზოგადად გავრცელებული დისკრიმინაციული პრაქტიკების გამოვლინებაა.

შედეგი – 2023 წლის 21 აპრილს დასრულდა საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღად განსაზღვრა 2023 წლის 3 მაისი.

8. დისკრიმინაცია მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებულ პანსიონატში ცხოვრების ნიშნით

8.1. ნ.მ და ი.მ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საფარი).

საქმის აღწერა – მოსარჩელე ნ.მ 2001 წლიდან(დაბადებიდან) 2011 წლამდე ცხოვრობდა ქალაქ ზესტაფონში ზესტაფონის წმინდა ბარბარეს სახელობის პანსიონატში (შემდგომში, ზესტაფონის პანსიონატი), ხოლო 2011 წლიდან 2021 წლის 4 ივლისამდე საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქ. ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში(შემდგომში, ნინოწმინდის პანსიონატი). მოსარჩელე ი.მ 2002 წლიდან(დაბადებიდან) 2011 წლამდე იმყოფებოდა ზესტაფონის პანსიონატში, ხოლო 2011 წლიდან 2015 წლამდე – ნინოწმინდის პანსიონატში.

ორივე პანსიონატში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ნ.მ და ი.მ პანსიონატის აღმზრდელების, ადმინისტრაციის და ზედამხედველების მხრიდან მუდმივად იყვნენ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი. ნ.მ-ს და ი.მ-ს მიმართ პანსიონატში ყოფნის დროს იყენებდნენ დასჯის სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა: მყარი საგნებით ცემა, საკვების გამოტოვება; თვალების ახვევა, მეტანიების გაკეთების დავალდებულება, მუხლებზე დაჩოქება საათობით, ძილის აკრძალვა და ა.შ. მათ მუდმივად აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ნ.მ-ს და ი.მ-ს ზესტაფონის და ნინოწმინდის პანსიონატში ყოფნის პერიოდში, სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად ხორციელდებოდა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც თავდაპირველად მოხდა დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუციების შეფასება, პირობების და აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის

გაუმჯობესება, ხოლო შემდგომში მათი უდიდესი ნაწილი დაიხურა. რეფორმის ფარგლებში სახელმწიფომ დახურა 44 დიდი ზომის ინსტიტუცია და 5500 ბავშვი უზრუნველყო ზრუნვის ალტერნატიული ფორმით. ამჟამად სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ ერთი დიდი ზომის ბავშვთა სახლი, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებისთვის.

რეფორმის მიუხედავად, ზესტაფონის პანსიონი 2011 წელს დაიხურა, ხოლო ნინოწმინდის პანსიონს კი რეფორმა არ შეხებია. ნინოწმინდას პანსიონის დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით სახელმწიფოს არასოდეს შეუფასებია. ნ.მ-სთვის და ი.მ-სთვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმა, არასოდეს შეუთავაზებიათ. (განიხილავდნენ მხოლოდ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას, რაც ოჯახის სოციალური მდგომარეობის გამო შეუძლებლად მიიჩნიეს). მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლისათვის სახელმწიფოს უკვე თითქმის დასრულებული ჰქონდა დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუციების დახურვის და აღსაზრდელების ალტერნატიული ზრუნვაში ჩართვის პროგრამა, 2015 წლის 28 აპრილს ნინოწმინდის პანსიონზე გაიცა სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია.

ნ.მ-მ და ი.მ-მ როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ დიდ ინსტიტუციაში მცხოვრებმა ბავშვებმა, ვერ შეძლეს ესარგებლათ სახელმწიფოს მიერ ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების კეთილდღეობისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული რეფორმით და ნ.მ-ს სრულწლოვანების მიღწევამდე, ხოლო ი.მ-ს 2015 წლამდე მოუწიათ დიდი ზომის ინსტიტუციაში ცხოვრება, სადაც არასოდეს ჰქონიათ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობები და ექვემდებარებოდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ნ.მ -მ 2022 წლის 15 მარტს, ხოლო ი.მ-მ 2022 წლის 20 მარტს მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად დამდგარი მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის მნიშვნელობა – მიუხედავად იმისა, რომ ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია პერიოდულად ქვეყნდებოდა სახალხო დამცველის ანგარიშებში, სახელმწიფოს წლების მანძილზე არანაირი ქმედითი ზომები არ მიუღია იქ მყოფი, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასაცავად. პანსიონატი ამ დრომდე ფუნქციონირებს და ჰყავს აღსაზრდელები. სასამართლოს მიერ ნ.მ-ს და ი.მ-ს საქმეზე სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა ხელს შეუწყობს, ყველა დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუციის (მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიურ კონფესიას ექვემდებარება) გაუქმებას და კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს, რომ სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს უკლებლივ ყველა მზრუნველობამოკლებულ ბავშვზე თანაბრად და ასევე პანსიონის ასეულობით, ყოფილი და ამჟამინდელი ბენეფიციარისთვის შექმნის პრეცედენტს, მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციული მოპყრობის გამო.

შედეგი - საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

ღია
საზოგადოების
ფონდი

კოალიცია თანასწორობისთვის